ივანე ჯავახიშვილი

# საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია

გადმობეჭდილი „ცნობის ფურცლიდან“.

ტფილისი
ელექტრონის სტამბა ამხ. გამომც. ქართ. ამხ--სა
1905

Дозволено цензурою, Тифлисъ. 1 августа 1905 г.

# საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია

# შინაარსი:

თავი I. მეფობის აღდგენის ისტორია და ქართველ მოდგმის ტომთა შეერთება.

თავი II. საქართველოს მეფეების სახელმწიფოს იდეალი: თვითმპყრობელობა, მეფობის ღვთისნიერობა და ხელმწიფის გაღმერთება.

თავი III. „პატრონყმობა" საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წეს-წყობილების დამახასიათებელია.

თავი IV. საქართველოს მეფის უფლება; რა საქმეები შეადგენდნენ მის „მართებასა" და „განსაგებელს".

თავი V. საქართველოს მეფე თვითმპყრობელი იყო თუ არა?

თავი VI. ბრძოლა აზნაურთა და საქართველოს მეფეების შორის ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლების გამო.

თავი VII. დიდებულ აზნაურთა პირველი პოლიტიკური გაფიცვა მთავრობის წინააღმდეგ.

თავი VIII. პოლიტიკური მოძრაობა და მეფის უფლების შეზღუდვა; პარლამენტის მსგავს დაწესებულების დაარსების მოთხოვნილება.

# საქართველოს მეფე და იმისი უფლების ისტორია.

## თავი პირველი

საქართველოს მეფის უფლების შესწავლას ამ გამოკვლევაში ჩვენ უძველეს ხანიდან არ დავიწყებთ იმიტომ, რომ ამ ხანის შესახებ ჩვენი გამოკვლევა უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და ვისაც სურს, შეუძლიან იქ აღმოიკითხოს თუ რა ნიადაგზე იყო დამყარებული უძველესს ხანაში მეფის უფლება და ქართველ ერის საზოგადოებრივი წესწყობილება. აქ ვიტყვი მხოლოდ გაკვრით, რომ მეფის უფლება საგვარეულო წესწყობილებაზე იყო დაფუძნებული და მე-IX—XIII საუკ. დროინდელ საქართველოს მეფის უფლებასთან პირდაპირი დამოკიდებულება არა ჰქონდა. ისტორიულ საბუთებიდანა ჩანს, რომ ის საგვარეულო წესწყობილებაზე დამყარებული მეფის უფლება სპარსელებმა გააუქმეს კიდეც და ამის გამო მერმინდელ მეფობის უფლებასა და პირვანდელ დროის მეფობის შორის კავშირი არ არსებობდა. საგვარეულო წყობილებაზე დამყარე-

ბულ მეფის უფლების გაუქმებას ჩვენი უძველესი მემატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ასე მოგვითხრობს: „მეფობდა ბაკურ და კათალიკოზი იყო მაკარი... და ამის ბაკურისზედა დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“ (ე. თაყაიშვილი, სამი ისტ. ქრ. 33)... „სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხეთს და სივნიეთს და გუასპურაკანს“ (ibid. 84); შემდეგ მემატიანე უმატებს „და ნელადრც შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გურამ“ (ibid. 84); ამ ამბის მოთხრობის შემდეგ იგი მხოლოდ ერისთავებზე-და ლაპარაკობს და მეფეების შესახებ კრინტიც არა აქვს დაძრული. ამგვარად ჩვენ უძველეს მემატიანეს სიტყვით, სპარსელებმა მეფის უფლება მოსპეს საქართველოში და ქვეყანას კარგა ხანს საკუთარი ხელმწიფე არა ჰყოლია. ჩვეულებრივ მიღებულ წელთა აღრიცხვით ბაკური 567—570 წლამდე მეფობდა, მაშასადამე 570 წლის შემდეგ ჩვენი სამშობლო უმეფოდ დარჩენილა. მაგრამ ევსტატე მცხეთელის მარტვილობა გვიჩვენებს, რომ ზემომოყვანილი თარიღი სწორე არ უნდა იყოს; ამ მარტვილობაში საქართველოს მეფე სრულებით მოხსენებული არ არის. და ქვეყნის გამგედ და პატრონად სპარსეთის მთავრობის დანიშნული მოხელე მარზპანი ითვლებოდა; ამ გამგეს ექვემდებარებოდნენ საქართველოს ყველა წარჩინებული პირნი, რომელთაც მარტვილობის ავტორი „ქართლის მთავრებს ეძახის (იხ. საქართველოს სამოთხე. 315); ეს პირები ბრძანდე-

ბოდნენ: „ქართლისა კათალიკოზი, ქართლისა მამასახლისი, ქართლისა მიტოასხმი და სეფე წულნი (ibid 315). ევსტატე მცხეთელის მარტვილობა როგორც საისტორიო წყარო უმაღლეს ნდობის ღირსია (იხ. ამის შესახებ ჩემი და პროფ. ჰარნაკის გამოკვლევა Das Martyrum d. heiligen Eustatius von Mzchetha, ბერლინის სამეცნიერო აკადემიის მოამბეში დაბეჭდილი. Z. K. P. A. W. 1901, XXXVIII), იგი 600 წ. ახლო ხანებში დაწერილი, ხოლო ევსტატე მცხეთელი 544—5 წ. აწვალეს (ibid. გვ. 21). მაშასადამე 545 წელს ეტყობა მეფის უფლება საქართველოში უკვე გაუქმებული ყოფილა და „სპარსნი ქართლს უფლებდეს; ამის გამო ზემომოყვანილი მეფობის მოსპობის თარიღი (570 წ.) სწორე არ უნდა იყოს, სპარსეთის მთავრობას, სჩანს, იგი მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარშივე მოუსპია. საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ თითქმის ორმა საუკუნემ გაიარა, სპარსეთის მთავრობამ, სასანელთა სამეფო გვარმაც თავისი დრო მოიჭამა და დაემხო; აღმოსავლეთით მომავალმა გამაჰმადიანებულმა არაბებმა ეს ერთ დროს შიშის ზარის დამცემი სახელმწიფო დაამარცხეს და დაიმორჩილეს. ბედმა საქართველოსაც იგივე ხვედრი არგუნა და ეხლა არაბებს ჩაუგდო ხელში. არაბების ბატონობის დროსაც ჩვენი ქვეყანა კარგა ხნის განმავლობაში უმეფოდ იყო: ეს ცხადადა სჩანს, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან, ისე

სუმბატის ქრონიკიდან და აბოს ცხოვრებიდან; ქვეყნის გამგედ ხალიფას წარმომადგენელი ამირა ითვლებოდა; იგი ტფილისში იჯდა ხოლმე; ხოლო ადგილობრივ მკვიდრთა შორის უმთავრეს პირად ერისთავი ითვლებოდა (იხ. იგივე წყაროები). აბო თბილელის მარტვილობა საუცხოვოდ გვიხატავს, თუ რა შევიწროებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაცვივნული ერისთავები: დევნა, საპყრობილე და თანამდებობის ჩამორთმევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო მაშინ (საქართ. სამოთხე, გვ. 338, 339). საქართველოს მეფის გაუქმებული უფლება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, 888 წლის ახლო ხანებში აღადგინეს. მაშასადამე მე-VI საუკ. პირველ ნახევრიდან მოყოლებული მეცხრე საუკუნის დამლევამდე საქართველოს საკუთარი მეფე არა ჰყოლია; სამ საუკუნე ნახევრის მანძილი სრულიად საკმარისია, რომ აღდგენილ მეფობისა და უძველეს დროინდელ მეფის უფლებების შორის პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება შეწყვეტილად ჩავთვალოთ. ამ დროს განმავლობაში საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებიც თვალსაჩინოდ შეიცვალა. უმეფობის დროს პირველი ადგილი, როგორც უკვე მოხსენებული იყო, ერისთავებმა და აზნაურებმა დაიჭირეს. ამ ერისთავებს ბიზანტიის იმპერატორის მოწყალების თვალით უყურებდნენ და ეხმარებოდნენ ხოლმე: ეს იქიდანა ჩანს, რომ თითქმის ყველა ერისთავები ბიზანტიის კეისრების ან ხელის-უფლებად, ან არა

და კარისკაცებად ითვლებოდნენ: მაგალითად, სუმბატის ქრონიკაში ბაგრატიონთა გვარის პირველ ერისთავის შესახებ ნათქვამია: „მოსცა მას მეფემან ბერძენთამან პატივი კურაპალატობისა“ (იხ. მარიამ დედ. ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ, 339). სტეფანოზის შვილს გუარამსაც კურაპალატობის პატივი ჰქონდა (ibid 342), ამ გვარადვე გუარამის შვილს ვარაზბაკურსაც ანთიპატრიკის პატივი ჰქონდა ნაბოძები იმპერატორისაგან; დასასრულ, თითონ აშოთ ერისთავთ-ერისთავიც ხომ კურაპალატად იწოდებოდა (ibid 342). რომ ბიზანტიის იმპერატორები მარტო ცარიელ მეხელეობით არ ეხმარებოდნენ ქართველ ერისთავებს და საქმითაც ძალიან ეწეოდნენ პირველ ხანებში, ამას ხომ აშოტ კურაპალატის თავგადასავალიც ამტკიცებს: არაბების მკაცრმა ბატონობამ ისე შეაწუხა იგი, რომ იძულებული იყო ბიზანტიაში გახიზნვა დაეპირებინა. ამის გამო იგი დასავლეთ საქართველოსაკენ გაემგზავრა, მაგრამ მერე მას იქ ერთი ადგილი მოეწონა და შავშეთში დარჩა; „დაემკვიდრა მუნ, მოგვითხრობს მემატიანე, და მისცა ღ̃თნ გამარჯვება; და ახელმწიფა იგი შავშეთ კლარჯეთსა ზედა და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასითა და ზოგი ოხერი ააშენა და განამრავლა სოფელი აშოტ კურაპალატმან ქვეყანათა მათ შინა და მისცა ღ̃თნ და განამტკიცა ხელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა“ (მარიამ დედ. ვარ. ibid 348).

თანდათან ერისთავნი, რომელნიც ქართლისა, კახეთისა, შავშეთ-კლარჯეთისა და აფხაზეთში ერსა პატრონობდნენ, ღონეს იკრებდნენ და ძლიერდებოდნენ; არაბთა ბატონობა კი თანდათან სუსტდებოდა და ქართველებისათვის ისე საშიში აღარ იყო. ეს გარემოება, რასაკვირველია, ერის მოსულიერებისა და მოღონიერებას ხელს უწყობდა. დიდის ხნის წინად გაუქმებული ქართლის მეფის უფლება 888 წლის ახლო ხანებში აღადგინეს; ბაგრატიონთა გვარის მემატიანე ამ ფრიად საყურადღებო ამბავს ძალიან მოკლეთ მოგვითხრობს: „მოკლეს ნასრა, სწერს იგი, ხევსა მცხეთისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რი და არა დაუშთა შვილი ნასრას და აღიხოცა სახსენებელი მისი. ადარნასე ძე დავით კურაპალატისა დასუეს ქართუელთა მეფედაო“. (სამი ისტ. ქრ. 69). რასა ნიშნავს ეს უკანასკნელი წინადადება, ვინ დასვა ადარნასე მეფედ? ამის შესახებ ჩვენი მემატიანე სდუმს. ამიტომ მკვლევარი იძულებულია ამ საკითხს ჯერჯერობით გვერდი აუქციოს.

როგორც მემატიანე მოგვითხრობს, „ადარნასე დასუეს ქართუელთა მეფედ“, იგი მაშასადამე იქნებოდა „მეფე ქართუელთა“. ამაზე უფრო ადრე მეფობა აფხაზეთშიც დაფუძნდა და ადარნასეს დროს, რასაკვირველია, უკვე არსებობდა „მეფე აფხაზთა“; კახეთსაც თავისი საკუთარი მეფე ჰყავდა, იგი იწოდებოდა „მე-

ფელ ქართა“ *). ერთი სიტყვით ამ დროს ქართველი ერი ჯერ კიდევ რამდენიმე ტომებრივ ჯგუფად იყო დაყოფილი, და ცალკე, თვითმმართველ, ერთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოთ სხეულს შეადგენდა. თანდათან ეს განცალკევებული სამეფოები და საერისთავოები ერთი ერთმანეთს ემტერებოდნენ, ანუ უფრო სწორე იქნება რომ ვთქვათ, ერთი რომელიმე უფრო ძლიერი დ. მოხერხებული მეფე თავის საბრძანებელს სხვათა სამფლობელოებსაც შემოუერთებდა ხოლმე. ამ ხანას და თვით ამ მოღვაწეობას გაერთიანების ხანა და გაერთიანების პოლიტიკა უნდა დაერქვას; ვიდრე დავით აღმაშენებელი თბილისს არ აიღებდა და სამეფოს სატახტო ქალაქად არ აქცევდა, ყველა ჩვენი მეფეები ამ გაერთიანების განხორციელებასა ცდილობდნენ. ცდით-კი რამდენჯერმე უცდიათ სხვებსაც, მაგრამ ბედი, პირადი გამჭრიახობა და გარემოება ისე არავისა სწყალობდა, როგორც ტაო-კლარჯეთის მფლობელთ, აშოტ კურაპალატის ჩამომავლობას. პირველად ქართლისა და აფხაზეთის მეფობა შეერთდა. ბაგრატიონთა გვარის ისტორიკოსი ასე მოგვითხრობს

*) ჩვენ არ ვეხებით აქ იმ საკითხს, თუ როგორ დაარსდა თვითოეულ ამ ქვეყანაში მეფის უფლება: ამას ჩვენ ცალკე განვიხილავთ, ეხლა ჩვენ მხოლოდ შეერთებულ საქართველოს მეფის უფლების ისტორიის შესწავლა გვსურს.

აი ამბავს: „გარდაიცვალა ბაგრატ რეგუენი ქა-
რთუელთა მეფე... და დაუტევა ძე თვისი უხუ-
ცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა მე-
ფე... და ამას გურგენს ესვა ბაგრატ დედით
აფხაზთა მეფისა დისწული...; ვიდრე გურგენის
გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზთა,
და ამისთვის გურგენს მეფეთ მეფობა ეწო-
და (მარიამ დედ. ვარ. გვ. 351-2). როცა მე-
ფე გურგენი გარდაიცვალა და 1008 წელს იმი-
სმა შვილმა ბაგრატმა მამის ტახტიც დაიმკვი-
დრა, ამის შემდეგ იგი შეიქნა „მეფეთ მეფე,
მეფე აფხაზთა და ქართუელთა". ასე მოგვით-
ხრობს მემატიანე სუმბატ დავითის ძე, მაგრამ
„ქართლის ცხოვრები"-დანა ჩანს, რომ ბაგრა-
ტის აფხაზეთში და ქართლში გამეფებაში აზნაუ-
რებსაც სდებიათ წილი, მეტადრე შესანიშნავ
მამულიშვილს იოანე მარუშიანს, რომელსაც ეტ-
ყობა დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართლისა და
აფხაზეთის გაერთიანებაში. „ქართლის ცხოვ-
რება"-ში ნათქვამია: „განარჩუნა ქვეყანა იგი
და შეიცვალა ყოველი წესი მისი და განგება
პირველთა მეფეთა განწესებული და იყუნეს
ყოველნი წარჩინებულნი მის ქვეყანისანი
მწუხარებასა შინა დიდსა. მაშინ... იოანე
მარუშისძემან ინება რათა მოიყვანოს ბაგ-
რატ მეფედ აფხაზეთისა და მისთანა ყოვე-
ლთა დიდებულთა ერისთავთა და აზნაურთა
აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს
ბაგრატ მეფედ" (ქარ. ცხ. ჭიჭინაძეს გამოც.

301). ბაგრატი ქართლსა და აფხაზეთს არ დაკმაყოფილდა; იმავე წელს იგი თავისი შეერთებულ სამეფოს ჯარით საჩქაროდ თიანეთში გადავიდა და იქიდან კახეთს რბევა დაუწყო; დავით კახთა მეფემ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ბაგრატმა კახეთი და ჰერეთი დაიპყრა (ქრ. ცხ. ზ. ჭიჭინაძის გამ. 305); ამის შემდეგ იგი გახდა „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“. ახლად შემოერთებულ ქვეყანაში ბაგრატმა ერისთავად აბულალი დანიშნა, თითონ-კი თავის საქმეებს დაუბრუნდა (ქრ. ცხ. ibid. 305). თავის სამფლობელოს გასაფართოებლად და ქართველ მოდგმის ტომების შესაერთებლად იგი არაფერს არა ზოგავდა, არავის არ დაინდობდა ხოლმე. მაგალითად ბაგრატმა თავის მამიდაშვილების, კლარჯეთის მფლობელთა საბრძანებელის ხელში ჩაგდების გულისათვის, მასპინძლობისა და სტუმართმოყვარეობის წმინდა მოვალეობაც-კი დაივიწყა და საზარელი ცბიერება და სავერაგე გამოიჩინა. „ბაგრატმა მოიყვანა, მოგვითხრობს მემატიანე, კლარჯნი ხელმწიფენი: სუმბატ და გურგენ, ძენი არტანუჯელისანი. თვისნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა და მუნ შინა შეიპყრნა იგინი და აღიხუნა ქვეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყუნა ციხესა შინა თმოგვისასა და მუნ ციხესა შინა თმოგვისასა გარდაიცვალა სუმბატ არტა-

ნუჯილი და აგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიცვალა ძმა სუმბატისი... და მათნივე შვილნი კლარჯეთის მეფეთანი, რომელ დაშთეს ამათ ქვეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა" (მარიამ დედ. ვარ. 353). ასეთის ულმობელობითა და გულქვაობით იმსხვრევდა ამოდენა მახლობელ ნათესავების სიცოცხლე სახელმწიფოს გაფართოებისა და ერის გაერთიანების გულისათვის მეფე ბაგრატმა.

აკი თავის გულისნადები აისრულა კიდეც; მეფე გაძლიერდა, დიდ საბრძანებლის ბატონად გახდა და მოსაზღვრე სახელმწიფოებზედაც ძლიერი გავლენა ჰქონდა. ბაგრატიონთა გვარის მემატიანე ამ მხნე და გაბედულ მეფეზე ცოტა არ იყოს გაზვიადებით ამბობს: „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობით ჯიქეთიდან ვიდრე გურგანამდე, ხოლო ადარბაგანი და შირვანი მოხარკე ყო, სომხითის ხელმწიფეებითა ნებიერად განაგებდა, მეფე სპარსთა თვის მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თვისითა უფროს სახლეულთა თვისთასა"... (ibid. 352).

ასე შეაერთა სახელოვანმა ხელმწიფემ ერთდროს განცალკევებული და ზოგჯერ ურთიერთის მოწინააღმდეგე ქართველ მოდგმის ტომების სამეფოები. ასე შეიქმნა და დამყარდა აგრეთვე ქართველ მეფეთა ჩვეულებრივი სახელწოდება „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართველთა,

რანთა და ვახთა“ და სხვა და სხვა. ამ სახელწოდებაში საუცხოვოდ გამოიხატება საქართველოს თანდათანი გაერთიანების ისტორია და ის ნიადაგი, ის საფუძველი, რომელზედაც საქართველოს ხელმწიფის უფლება იყო დამყარებული. ეს ნიადაგი და საფუძველი ადგილობრივი და ტომებრივი განცალკევება და კერძოობა გახლავთ. საქართველოს სამეფო ჯერ მაშინაც-კი, როცა მთელი კავკასია მას დამორჩილებული ჰქონდა, შეერთებულ, ერთგვარ სახელმწიფოს მბრძანებლად ითვლებოდა და სამეფო საყდარი თბილისში იყო გადმოტანილი, მაშინაც-კი მათ საზოგადოდ „აფხაზთა მეფეებს“ ეძახოდნენ; ასე უძახიან მათ, სხვათა შორის არაბებისა და სპარსელების ისტორიკოსებიც. ეტყობა, მაშინდელ საზოგადოებას კარგად ახსოვდა, რომ თავდაპირველად საქართველოს მეფეები მხოლოდ აფხაზთა მეფეები ბრძანდებოდნენ. წარმოიდგინეთ, მეთორმეტე საუკუნის უმაღლესმა სახელმწიფო ძლიერებამა და პოლიტიკურმა ხანგრძლივმა ერთობამაც-კი ვერ გააქარწყლა სამუდამოდ სათემო განცალკევებისადმი მიდრეკილება, დრო გამოშვებით ამ გვარი კერძოობის გრძნობა და პროვინციალურ განცალკევების წადილი თავს ამოჰყოფდა და თავისს გესლიან ნაყოფს გამოიტანდა ხოლმე. ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრების განმავლობაში დიდი ძალღონე შეალია ამ განცალკევების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. დიახაც

უნაყოფოდ არ ჩაუვლია ამ სახელოვან მოღვაწეობას, ბევრს მამულიშვილს უმუშავნია თავგამოდებით და ღრმა სიყვარულით გამსჭვალულს, რომ თანამოძმეების ეროვნული თვითშემეცნება გაეღვიძებინა და მკვიდრ ნიადაგზე დაემყარებინა. ამ საკითხის შესწავლა ჩვენ ეხლანდელ კვლევის საგანს არ შეეხება პირდაპირ და ამის გამო აქ ამაზე ლაპარაკს არ დავიწყებთ; მით უმეტეს, რომ ამ საკითხის შესახებ ჩვენ ცალკე გამოკვლევა („ეროვნულ თვით შემეცნების ისტორია საქართველოში“) გვაქვს დამზადებული.

ეხლა-კი, აღძრულ თემისათვის სწორედ ამ პროვინციალურ განცალკევების მიდრეკილების შესწავლაა საჭირო. საკმარისია გავიხსენოთ რა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა კახელობა საქართველოს მეფეებს, მათის გაერთიანების წადილის განხორციელების დროს, რომ თვალწინ განკერძოების მიდრეკილების ძლიერება ნათლად წარმოგვიდგეს; გარდაიცვალა თუ არა 1012 წელს ბაგრატ მეფე და ტახტზე მისი მეორე წლოვანი შვილი გიორგი ავიდა, მაშინვე „განდგა ამას ქვეყანასა ჰერეთ-კახეთისა (მჭირავნი) და დადრობითა აზნაურთა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი; მათ ქვეყანად გუალადვე ეყოდნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“ (მარიამ დედ. გვ. 353—4). ჰერეთკახეთის აზნაურობამ ეტყობა ვერ შეიგნო, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენის ეროვნების

ძლიერებისათვის საქართველოს გაერთიანებას, და თავისთვის განცალკევება ირჩია. მეფე ისე ილაჯ განწყვეტილი და შევიწროებული იყო ბიზანტიის კეისრისაგან, რომ ჰერეთ-კახეთის დაბრუნებისათვის არა სცალოდა. ეს ორივე ქვეყანა მეფე ბაგრატ მე-IV-ის დროსაც ცალკე სამეფოს შეადგენდა; ბაგრატი იმისიც კმაყოფილი იყო, რომ თბილისის აღების შემდეგ „მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთ ერისთავი გოდერძი და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშვიდობისა ძებნად“ (ქარ. ცხ. 326). სანამ დავით აღმაშენებელმა ჰერეთ-კახეთი არ შემოუერთა დანარჩენ საქართველოს, მანამდისინ ცალკე დამოუკიდებელ სამფლობელოს შეადგენდა, ამგვარად ჩვენა ვხედავთ, რომ, თუმცა ქართველ ტომების სხვა და სხვა პატარა სამეფოები თანდათან შეერთდნენ, მაგრამ ეს გაერთიანება მტკიცე და მკვიდრ ნიადაგზე ჯერ იყო დამყარებული. როცა საქართველოს მეფე რომელიმე ახალ სამფლობელოს შემოუერთებდა ხოლმე თავის საბრძანებელს, იგი შეძენილ ქვეყანაში მართვა-გამგეობის წესს სრულებით არ ეხებოდა და უფრო ხშირად ყველაფერს წინანდებურად სტოვებდა ხოლმე. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივ მეფის მაგიერ საქართველოს ხელმწიფე ხდებოდა ქვეყნის ბატონად, ზოგჯერ კიდევ წინანდელ ერისთავთ ერისათვის მაგიერ ახალ ხელისუფალსა ნიშნავ-

და ხოლმე საქართველოს მეფე, ასე მოიქცა,
მაგალითად, ბაგრატ მე-III, კახეთი რომ დაი-
ჭირა და თავის სამბრძანებელს შემოუერთა. ერ-
თი სიტყვით, მაშინ გამგე პირებსა სცვლიდნენ
ხოლმე, და გამგეობის წყობილებას თითქმის არც
როდის ხელს არ მიაკარებდნენ ხოლმე. იმ
დროს ჯერ კიდევ კარგად შეგნებული არა ჰქონ-
დათ, თუ რამდენად საჭიროა ერის გაერთიანე-
ბისათვის, რომ მთელ სამეფოში თანაბარი და
ერთნაირი დაწესებულება სუფევდეს ხოლმე; ამას
ცხადად შემდეგ მაგალითიდანაც დაინახავს ადა-
მიანი; როცა დავით აღმაშენებელმა თბილისი
და მისი მიდამოები თავის სამბრძანებელს შემო-
უერთა, მან „თბილისისა და ქართლის ამირა“-ს
თანამდებობა არ გააუქმა, არც მის შემდგომად
მყოფ მეფეებს მოუსპიათ ეს მოხელეობა, თუმ-
ცა ამ თანამდებობის არსებობას მაშინ, როცა
დედა-ქალაქი საქართველოს კვლავინდებურად და-
უბრუნდა, აღარავითარი მნიშვნელობა არა ჰქონ-
და, იმიტომ რომ საქართველოში უძველეს
დროიდანვე ქართლის ერისთავთ ერისთავის თა-
ნამდებობა არსებობდა და მეორე მოხელე იმავ
ადგილის გამგედ, რასაკვირველია, სრულებით
საჭირო არ იყო. მაგრამ ამისდა მიუხედავად,
ქართლის ამირობაც. ქართლის ერისთაობაც კვლა-
ვინდებურად არსებობდა და ისედაც რთულ სა-
ხელმწიფო მართვა-გამგეობას უფრო მეტად
აძნელებდა.

თვით გაერთიანებულ სახელმწიფოს წეს-წყო-
ბილებასაც ცხადად ეტყობოდა სათემო განცალ-

კვება. ადამიანს ეგონება პირველის შეხედვით საქართველო თითქოს გარეგნობით არის შეერთებული, იგი „სამეფოები"-საგან შესდგებოდა; მაგ. დავით აღმაშენებელზე მემატიანე მოგვითხრობს: „აქუნდა უფლით კერძო მშვიდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა"-ო (ქარ. ცხ. 379); ამავე ხელმწიფის პირუთვნელობას იგივე ავტორი ამნაირად ახასიათებს: „ვითარცა ღმერთი ჰრჯიდა სამეფოთა თვისათა"-ო (ibid 371), მაგრამ „სდგასა შინა თვსთა სამეფოთასა ხიმრავლით სპათათა... ვერ ადვილად მიემთხვეოდიან მომჩივარნი"-ო (ibid. 373); თამარ მეფის მამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მან „იპყრნა მეფობისა შარავანდედი შვიდ სამეფოდ განწესებული" (ibib. 386); თამარ მეფის მამის სიკვდილის შემდეგ მემატიანეს სიტყვისამებრ „შემოკრბა შვიდთავე სამეფოთა დიდებული" (ibid. 401) და სხვა და სხვა. ყველა ზემო მოყვანილ მაგალითებიდანა ჩანს, რომ მაშინდელ შეხედულობის თანახმად სამეფოები ჯერ ისევ არსებობდნენ, თუმცა ისინი ყველა ერთ ხელმწიფეს ემორჩილებოდნენ; ყურადღების ღირსია, რომ ისტორიკოსი ზემო ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოობით რიცხვს-კი არ ხმარობს, არამედ მრავლობითს, იგი ყოველთვის ამბობს ხოლმე სამეფონით, შვიდი სამეფოთ, და არა სამეფო. ერთი სიტყვით, საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში ცალკე სამეფოები კალინდეურად ცო-

ცხოვრობდნენ. რომ ეს მართალია და გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფო წყობილება ადგილობრივ და სათემო განცალკევების პრინციპზე იყო დამყარებული და მემატიანეს მიერ ნახმარი „სამეფონი“ მაშინდელ ცხოვრების ვითარების ჭეშმარიტი გამომხატველია, ადვილად დავრწმუნდებით მაშინვე, როცა იმ დროის სახელმწიფო მართვა-გამგეობის წეს-რიგს გავითვალისწინებთ. დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული თამარის სიკვდილამდე, ე. ი. ჩვენი სამშობლოს ერთობისა და ძლიერების უმწვერვალეს ხანაში საქართველოს თვითეულ „სამეფოში“ ცალ-ცალკე განაგებდნენ ხოლმე საქმეებს და არა ერთად, ე. ი. მართვა-გამგეობა საუწყებო პრინციპზე კი არ იყო დამყარებული, არამედ სათემო პრინციპზე. მეფე ერთ „სამეფოდან“ მეორე „სამეფოში“, ანუ ახლო-მახლო ადგილას გადადიოდა ხოლმე და ყველა საქმეებს ადგილობრივ ისმენდა და განაგებდა ხოლმე. გ. ბაგრატ III-ის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „იყო... დიოგს და განაგებდა საქმეთა ტაოსსა და ქართლისასა“ (ქარ. ცხ. 304); დავით აღმაშენებელზე ნათქვამია: „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნიო“ (ibid. 361). შემდეგ მეფე სთველთა „გარდავიდა გეგუთს... განაგო მანდაური ყოველი“ (ibid. 365). როცა დავით აღმაშენებელმა ახლად დაპყრობილ შირვანის საქმეების მოწესრიგებისაგან მოიცალა, იგი „მოვიდა ქარ-

თლად და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა (ibid. 366). თამარის დროსაც-კი ამ გვარივე წესი იყო მიღებული: „ესამ გადვიდიან, მოგვითხრობს ისტორიკოსი, (იმერეთს) და განაგნიან საქმენი მანდაურნი... და მერე გადმოვიდიან ქართლს, სომხითს და მერმე დადგიან, მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და ერთამთავარ ქალაქელნი (ქარ. ცხ.-ში შეცდომით „ადმართქალაქნის), გაზაფხულ აღმოვიდიან სომხითი, მოიღიან ხარაჯა ნახჭევნელთა, — და წარვიდიან კოლის, თავსა არტაანისასა და მუნით მოიღიან ხარაჯი კარნუქალაქით და ეთზინკით და სხვათა გარემოთა ქალაქთაო“ (ipid 374). ერთი სიტყვით, ჩვენა ვხედავთ, რომ საქმეების მოსაწესრიგებლად მეხოვრებნი კი არ ზიდოდნენ თითონ სატახტო ქალაქში, ან არა და ხარაჯას სამეფო მოხელეები-კი არა ჰკრებდნენ ადგილობრივ და მერე თითონა აგზავნიდნენ სახელმწიფო საჭურჭლეში, არამედ მეფე თითონ მიდიოდა და ადგილობრივ არჩევდა ხოლმე საქმეებს, ხარაჯასაც მკვიდრნი იქვე ადგილობრივ მოართმევდნენ ხოლმე მეფეს, თითქოს „სახელმწიფო ცალ-ცალკე სამეფოებისაგან იყოს შემდგარი. ამ გვარად საისტორიო წყაროები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს მეფის სახელწოდება „მეფეთ მეფე, მეფე აფხაზთა, ქართუელთა, კახთა და რანთა“ საქართველოს სახელ[illegible] წესწყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და რეალური მნიშვნელობა ჰქონდა.

# თავი მეორე

წინა წერილში ვეცადეთ გამოგვერკვია, თუ როგორ გაჩაღდა საქართველოს მეფის უფლება, რომელიც ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენდა, და როგორ შეერთდნენ განცალკევებული სხვა და სხვა ქართველ მოდგმის ტომთა სამეფოები. ამ გვარად გამოირკვა, როგორ შესდგა ის მეფის სახელწოდება, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თვითეულ მეფის მიერ ნაბოძებ სიგელს ამშვენებდა ხოლმე. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ ის პოლიტიკური პირობები, რომელთა წყალობითაც მეფის ზემოაღნიშნული სახელწოდება დაიბადა შემდეგშიაც, სამეფოს უმაღლესს ძლიერების დროსაც-კი, ცხოვრებამ ვერ მოსპო და ვერ გააქარწყლა; ამის გამო მეფის სახელწოდებას რეალური მნიშვნელობა არც როდის არ დაჰკარგვია. ცხადია, რაც უფრო მეტად გაიზრდებოდა და გაფართოვდებოდა ქართველ მეფეების საბრძანებელი, მით უფრო მეტად საჭირო იქმნებოდა მათთვის მეფობის უფლებისათვის მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი მოეპოვებინათ, იმიტომ რომ ქართველი მეფეები, როგორც ქვემოდ დავინახავთ, თავიანთ ძლიერებისა და უფლების დასამყარებლად აზნაურებს ებრძოდნენ ხოლმე. რაში მდგომარეობდა ეს ბრძოლა, როგორ მიმდინარეობდა იგი და ვის გაუღიმა ბედმა ამ მეტოქეობაში, ამაზე დაწვრი-

დებით ქვემოდ იქნება დაპარაკი. ეხლა საჭიროა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ამ გამწვავებულ ბრძოლის მოსაგებად მარტო მკლავ-ხმლის ძალა არა კმაროდა. ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისთვის აუცილებლად საჭირო იყო ზნეობრივი ძალაც. რაში მდგომარეობდა მერე ეს ზნეობრივი ძალა? ბრძოლის გასაადვილებლად საჭირო იყო, რომ მეფობის უფლების არსებობის აუცილებლობა და სარწმუნოებრივი მნიშვნელობა დაესაბუთებინათ. ეს კი არც თუ ძალიან ძნელი საქმე იყო: ახალ აღთქმაში ამის შესახებ საუცხოვო წინადადება მოიპოვება, პავლე მოციქულის ეპისტოლეში სახელდობრ.

ამ მოციქულის სიტყვების თანახმად, ბრძოლის დროს ბერ-მონაზონები მეფეს მხარს უჭერდნენ ხოლმე და ეხმარებოდნენ ხან საქმით ხან კიდევ სულიერ გავლენით. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გვარის ერისთავობის დროსაც-კი მთავრობის პატივისცემა ღვთისნიერ საქმედ იყო აღიარებული. აი რა სიტყვებით დალოცა კლარჯეთის მონასტრების დიდმა არქიმანდრიტმა გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატის შვილები: გაკურთხენ ყოველნი პირმან ქრისტესმან და ყოველთა წმიდათამან: რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყვა ესე: „სადა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ღმრთეებისაჲ“, რამეთუ თქუენ ხელმწიფენი უფალ გყვნა ღმერთმან ქუეყანისა განგებისა“. (ნ. მარრის გამოცემა ცხოვრება გრიგოლ

ხანძთ. Тексты разыск. წიგნი VII). მაშა-
სადამე გრიგოლის აზრით, სადა მთავრობას
პატივსა სცემდნენ, იქ სუფევდა ღვთაების
მსგავსება; თვით ზეციერმა მამამ გასხადა ხელ-
მწიფენი ქვეყნის გამგეებად; ამის გამო მეფე-
ები უნდა ყოფილიყვნენ ხელმწიფენი „ნებითა
ღვთისათა“; სწორედ ასეთ წინადადებას ხმა-
რობდნენ ხოლმე ქართველი მეფეებიც. მაგა-
ლითად. გიორგი მეორე თავის შიო მღვიმესა-
დმი ნაბოძებ სიგელს ასე იწყობს: „ნებითა
ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა
და სომეხთა მეფისა“ (1088 წ. სიგელი, შიო
მღ. ისტ. საბ. გვ. 13); დავით აღმაშენებელი
თავის წყალობის წიგნს ასეთისავე წინადადებით
იწყებს: „ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართვე-
ლთა, რანთა და კახთა მეფისა“ (ibid).

მაგრამ ჩვენმა მეფეებმა ეს არ იკმარეს და
თავიანთ უფლებას ღვთაებრივ ძალის მფარვე-
ლობა და ხელმძღვანელობა მოუპოვეს; საყუ-
რადღებოა ამ მხრივ ის, რას ამბობს და-
ვით აღმაშენებელი თავის ანდერძში; „თვით
იგი, ბრძანებს სახელოვანი მეფე, ოდეს მარ-
წმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა,
თვისითა რათამე გასაგებითა არა უღირსმყო-
ნელმან შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებო-
სა ჩემისამან აქათგანვე ალილო ხელი სიტკბო-
ებითა თვისითა განძლიერებად ჩემდა და თვით
მეფე მეფეთაა იქმოდა საკვირველთა უკი-
რველად: ცხადითა წინააღმდგომთა გამგეო-

ზისა თვისისათა მისცემდა მოსასრველად" (შიო მღ. ისტ. საბ. კჱ. 15). ამ საყურად-ღებო წინადადებიდან ცხადად შეიძლება დაინახოს მკითხველმა, რამდენად დარწმუნებული იყო დავით აღმაშენებელი, რომ მეფის უფლება თვით ღმერთმა პირადად „არწმუნა" მას, რომ ეს მეფის უფლება „მის მიერ", ე. ი. ღვთის მიერ, განგებული და დაფუძნებული იყო მაგრამ ამას კიდევ არა უჭირს-რა; იგივე ამტკიცებდა, რომ საქართველოს მართვა-გამგეობაში მას თითონ ღვთაება ეხმარება ხოლმე, რომ თვით მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად და მეფის გამგეობის წინინააღმდგომთა ანუ იმის მტრებს მისცემდა ხოლმე მას „მოსასრველად". იმიტომ რომ თუმცა სამეფოს ხორციელად დავით აღმაშენებელი ჰმართავდა, მაგრამ უხილავად იმ ძნელ საქმეში მას თვით ღმერთი უძღოდა ხოლმე წინ; მაშასადამე საქართველოს გამგეობა ღმერთსზე ეკუთვნოდა; სწორედ ამის გამო ამბობდა კიდეც ჩვენი სახელოვანი ხელმწიფე „ცხადთა წინააღმდგომთა გამგეობასა თვისისათა" ო, ე. ი. ღვთის გამგეობის წინააღმდგომთაო. ამ გვარად ვინც მეფის გამგეობის წინააღმდგომი იყო ის ღვთის წინააღმდეგ მიდიოდა, თვით ზეციურ მეუფის მტერი გახლდაო! ასე ფიქრობდა, ამას ამტკიცებდა დავით აღმაშენებელი. მაშასადამე. საქართველოს მეფის გამგეობა ღვთისმიერი გამგეობა იყო. ასეთ

შეხედულობის შემდეგ მოსალოდნელიც იყო, რომ საქართველოს მეფის პირადობა ღვთაებრივ ბუნების პატრონად, თვით ღვთაებად აღიარებინათ. ზემომოყვანილ დავით აღმაშენებლის სიტყვების შემდეგ, რასაკვირველია, მკითხველის ყურთა სმენას ისე აღარ ეხამუშება და არც ძალიან გაოცდება, როცა ქწიგნობართ უხუცესოსისა და ვაზირ ანტონ ჭყონდიდელის სიტყვებს წაიკითხავს „ღვთისა სწორსა მეფეთ მეფესა თამარს შევეხვეწეთ (სიგელი 1202 წ., შიომღ. ისტ. საბ, გვ. 27). საქართველოს მეფე „ღვთისა სწორი", „სამებისაგან ოთხად თანაალზავებული" იყო, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი ამტკიცებს (მარიამ დედ. ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 363), ე. ი. სამებასთან მეოთხე სახედ, მეოთხე ღვთაებად აღზავებული, „ერთი სამებისაგანი აქა კულა სამებისათანა იხილვების თამარ მოსწორებული და აღმატებული" (ibid. 398), როგორც იგივე მემატიანე ამბობს თავის თხზულებაში. შესანიშნავი მეხოტბე ჩახრუხაძე ამბობს, მინდა „დაუსაბამო თამარ გვთქვ' ნათლად და ძედა მისად.

მზეებრ საგანე, სულის საგანე, თანგამწყოდ ძისა, სწორად მამისად".

(პროფ. ნ. მარრის გამოც. Тексты и разыск. IV წიგნ. გვ. პგ.). ერთი სიტყვით ჩვენა ვხედავთ, რომ საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე

წრეებმა გაადმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ძალიერება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს. რაკი საქართველოს ხელმწიფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულობას დაადგნენ, ცხადია ისინი თავიანთ თავს სრულს თვითმპყრობელებად ჩასთვლიდნენ და კეისრობის ძლიერების მოხვეჭას მოინდომებდნენ. სწორედ ასეც გახლავთ კიდეც. უკვე 1082 წელს მომღვიმისადმი ნაბოძებ წყალობის წიგნში, გიორგი II თავის თავს „უფლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელად“ აღიარებს (მომღ. ისტ. საბ.).

## თავი მესამე

ეს თვითმპყრობელობა და ღვთისნებითობა მეფეებისა და მთავრობის მომხრეთა დასის იდეალი და მისწრაფება იყო, ვიდრე სახელმწიფოს ცხოვრების უტყუარი მოვლენა. ქვემოდ ვნახავთ ჩვენ, რომ საქართველოს მეფეები ხშირად ისე შევიწროებული იყვნენ ხოლმე დიდებულ აზნაურებისაგან, რომ არც თვითმპყრობელის უფლება ჰქონდათ შერჩენილი, არც „ნებითა ღვთისათა“ ბრძანდებოდნენ სახელმწიფოს ბატონად. ვიდრე ჩვენ საქართველოს მეფის უფლების გამორკვევას შევუდგებოდეთ, აუცილებლად საჭიროა გაკვრით მაინც სიტყვა ჩამოვაგდოთ იმ უმთავრესს საზოგადოებრივ დაწესებულებაზე, რომელზედაც საქართველოს წეს-

წყობილება დამყარებული იყო. ეს დაწესებულება—პატრონყმობა გახლავთ, ის პატრონყმობა, რომელიც შემდეგ ბატონყმობად გადიქცა. პატრონყმობა მთელ სახელმწიფოს და კერძო ცხოვრების თავისებურს მიმართულებასა და ელფერს აძლევდა სიტყვა „პატრონი“ ქართული არ არის და რომაელების ენისა და სამართლის საკუთრებას შეადგენს.

ჩვენი სიტყვა „პატრონი“ რომაელების patronus'-ი არის· იტალიაში პატრონის სახელს ისეთი გავლენიან და შეძლებულ ადამიანს დაარქმევდნენ ხოლმე, რომელსაც წვრილი ერი, მდაბიო ხალხი სასამართლოში მფარველობისა და გადასახადებისაგან თავის დაღწევის გულისათვის მიჰმართავდა და თავის მამულს გადასცემდა ხოლმე. ეს „პატრონი“ მამულის მფლობელებს ნებას აძლევდა თავიანთი მიწებით კვლავინდებურად ესარგებლნათ, მხოლოდ კანონიერად მამული უკვე იმ „პატრონის“ საკუთრებად ითვლებოდა, ამისთანა პატრონობას რომაელები fundorum partocinia'-ს ეძახდნენ. სალვიანე მარსელიელი, მე-V საუკ. მწერალი, ასე გვიხატავს მაშინდელ „პატრონობ“-ის სურათს. წვრილი ერი მფარველობისა და დახმარების გულისათვის დიდებულებს მიანდობდნენ თავის თავს; უველარი, რომელნიც მფარველობას ეძებენ. მთელ თავიანთ ქონებას ვიდრე მფარველობას მიიღებდნენ, თავიანთ „პატრონებს“ განუთვისებენ (გადასცემენ) ხოლმე; ამგვარად, იმის

გულისათვის, რომ მამებმა მფარველობა ჰპოვონ, შვილები მემკვიდრეობას ჰკარგავენ... ასეთია დიდებულთა შველა და პატრონობაო“, Migne, Patrologia Lat. LIII, 202) დასძენს სალვიანე. ეს რომაელების საზოგადოებრივი დაწესებულება ფრანკებმა და გერმანელებმაც შეითვისეს. უძველეს დროს, მე-IX,-X საუკუნემდე საქართველოში სიტყვას „პატრონი“ სრულებით არა ხმარობდნენ; არც ერთ ჩვენ მწერლობის ძეგლში იგი იმ ხანაზე ადრე არ მოეპოვება. ცხადია, მაშასადამე, რომ ეს სიტყვა დასავლეთიდან უნდა იყოს შემოტანილი; მხოლოდ საიდან სახელდობრ—ამ საკითხის გადაწყვეტა თითქმის შეუძლებელია. პირდაპირ რომიდან, ან ფრანკებისა და გერმანელებისაგან ხომ ვერ შეითვისებდნენ ქართველები ამ დაწესებულებას. მეტად დიდი ზღვარი ძევს ჩვენსა და იმ ქვეყნების შორის. რასაკვირველია, დასავლეთით საქართველოზე ყველა ქვეყანაზე უფრო მახლობელი ბიზანტია იყო; მაგრამ იქ ეს საზოგადოებრივი დაწესებულება ისე გაბატონებული არ იყო, როგორც, მაგალითად, რომში, საფრანგეთში, გერმანიაში და თვით საქართველოშიაც. ბიზანტიაში მფარველობას მონასტრები ეძებდნენ ხოლმე განსაკუთრებით; შეეფარებოდნენ რომელიმე გავლენიან პირს და თავიანთ მამულების საკუთრების უფლებას მათ დაუთმობდნენ ხოლმე. მაგრამ საკითხის გადაწყვეტა საშინლად ძნელდება იმის გამო, რომ თვით

ბიზანტიელები ამ გვარ მონასტრის მფარველს „პატრონს“ კი არ ეძახდნენ, არამედ „ხარისტიკარს“; სიტყვას „პატრონი“, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ბიზანტიაში არა ხმარობდნენ. რაკი ეს საქართველოს „პატრონ-ყმობას“ დაწესებულების უმთავრესად გამომხატველი სიტყვა ბიზანტიაში გავრცელებული არ იყო, მკვლევარს ამის გამო არ შეუძლიან იმ დასკვნას მიემხროს, ვითომც პატრონყმობა ბიზანტიის ზედგავლენის წყალობით გაჩენილიყოს საქართველოში. მართალია, პირადად რომაელებსაცა ჰქონდათ გავლენა საქართველოზე, ჩვენი სამშობლო ერთ დროს მათ მფარველობის ქვეშე იმყოფებოდა, მაგრამ ეს დიდი ხნის (1 ს. ქრისტეს წინ და 1 ს. ქრისტ. შემდეგ) ამბავია, სიტყვა „პატრონი“, როგორც ზემოთ მოხსენებული იყო, მხოლოდ მე-IX, X საუკ. ვრცელდება ქართულ მწერლობაში. ამგვარად საკითხი გამოურკვეველი გვრჩება; დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სიტყვა „პატრონი“ რომაელების ენასა და სამართალს ეკუთვნის და მე-IX საუკუნემდე ქართულ მწერლობის ნაშთებში სრულებით არ მოიპოვება.

ვის ეძახდნენ მერე მაშინდელ საქართველოში „პატრონის“ სახელს? პატრონი ნიშნავდა კერძო მესაკუთრეს და მფლობელს, მაგ. მიქელ მემლვიმე, რომელმაც თავის მამულში ციხე ააშენა, თავის თავს ამ ციხის „პატრონ“-ად სთვლის (შიომღ. ისტ.საბ. გვ. 2). კერძო

მთლობლისავე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას შიომღვიმის 1250—60 წ. სიგელში, სადაც „მიწის პატრონი"-ა მოხსენებული (შიომღ. ისტ. საბ. 60). „ქართლის ცხოვრება"-შიც აღნიშნულია „აბუსერი... ტბისჯვარისა და აწყურისა ციხისა პატრონი... გვარად ჯაყელ-ძისძე ბექაის ციხის პატრონი" (ზ. ჭიჭინაძეს ჯამთ. 326). თამარ მეფის მემატიანე სახელდოვან დედოფლის შესახებ ამბობს „პატრონმან ხმელთამან და ზღვისამან"-ო. სიტყვა „პატრონი" ნიშნავდა აგრეთვე მფარველს, მზრუნველს, პირად პატრონს, მაგ. ატენის ტაძრის მე-XI საუკ. წარწერაში ნათქვამია: „ძლიერმან მეფეთ მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა, სეფესწულსა შიდა ქალაქისა აშენებაი... აგაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვიწყალნა მეფობამან მათმან, სასახლენი ადგილნი და საქულბაქნი მკვიდრად... მირიანს და ყმათა მისთა... შეკწირე წმიდასა სიონსა ატენისასა... სალოცველად... ჭგიანმცა უკუნისამდე ძლიერნი მეფეთა მეფე ბაგრატ ხე-ვასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი და სალოცველად მიწის· მათისა გამზრდელისა პატრონისა ჩემისათვის" (Brosset, Voyage VI, 22). ამ წარწერაში, რასაკვირველია, პირად პატრონობაზე, პირად დამოკიდებულებაზეა ლაპარაკი; ამას ამტკიცებს სიტყვები „გამზრდელისა პატრონისა ჩემისათვის". ეს წარწერავე გვიჩვენებს, რომ მამულის შემწირველი მირიანის

„ყმა“ ეწოდა; ამნაირივე ყმები მირიანს, როგორც ეტყობა, რამდენიმე კიდევ უნდა ჰყოლოდა, ამიტომ იქნება წარწერაში ნათქვამი „ყმათა მისთა“-ო, მრავლობითი რიცხვი და არა მხოლოობითი. სიტყვა „ყმა“, რომელსაც ჩვენში ამ ჯვარ პირად და უფლებრივ დამოკიდებულების აღსანიშნავად ხმარობდნენ ხოლმე, წარმომდგარია სიტყვისაგან „ყრმა“, რომელიც ნიშნავს ბავშვს, ჭაბუკს. ეს სახელწოდება გვიჩვენებს, რომ „ყმების“ პირადი უფლებები უნდა შეზღუდული ყოფილიყო. წარწერაში მოხსენებულ მირიანსავით ყველა შეძლებულ აზნაურებს ყმები ჰყავდათ ხოლმე. მემატიანეს სიტყვებიდანა ჩანს, რომ იმის დროს ამ პატრონებს ყმები ამალასავით თან ახლდნენ ხოლმე; იხარებდეს, ამბობს მაგალითად იგი, „ვითარ მპოვნელნი... პატრონნი ყმისა და ყმა პატრონისა“ (ქარ. ცხ. 389), ან კიდევ „უსწრობდა პატრონი ყმასა და ყმა პატრონსა“ (ibid. 417). ერთი სიტყვით მასალებიდან ცხადადა ჩანს, რომ პატრონყმობა მაშინდელ საქართველოს სოციალურ და ქონებრივ წესწყობილების გამომხატველია.

მაგრამ იმავე დროს „პატრონყმობა“-ს სახელმწიფო წესწყობილებაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა, სახელმწიფო წესწყობილების გამომხატველიც იყო. ეს იქიდანა სჩანს, რომ სიტყვა „პატრონი“ მარტო კერძო მესაკუთრეს და მფარველს კი არა ნიშნავდა, ე. ი. მარტო ცხოვრების სოციალურ და უფლებრივ განწყო-

ბილებათა დამახასიათებელი კი არ იყო, არამედ მეფესაც, ხელმწიფესაც ნიშნავდა, მაგალ. როცა მემატიანეს სურს გვაცნობოს, რომ მწიგნობართ უხუცესი გიორგი ჭყონდიდელი მეფე დავით აღმაშენებელთან იყო ერთად აღზრდილი, იგი ამბობს: „თანაალზრდილი პატრონთანიო" (ქრ. ცხ. 358), ან არადა თანა აუდგა აღზრდილი სიყრმითაგანთა პატრონის მსახურებათა" (ქრ. ცხ. 359). მეორე ისტორიკოსიც „პატრონს" მეფის მაგიერ ხშირად ხმარობს ხოლმე, მაგ. იგი მოგვითხრობს ძლევამოსილ თამარ-მეფის ლაშქარი ბრძოლის ველიდან დაბრუნდა და „მოვიდეს წინაშე პატრონისა ღვთივ-განათლებულისა"-ო (ქრ. ცხ. 415). სხვა ადგილას იგივე მემატიანე ამტკიცებს, რომ „არცა ძველთა ჟამთა შინა და არცა ახალთა სადამე სმენილ არს, უკეთუ სადამე ქმნილ იყოს ნებსით ანუ უნებლიეთი განდგომილება მეფეთა დაწყობითგან სოფლისათ არა სადა ვის უხილავს თუმცა წარმართებოდეს, ანუ გამარჯვებოდეს პატრონთა ზედა" (ქრ. ცხ. 427). ყველა ზემო მოყვანილ და სხვა კიდევ მრავალ მაგალითებიდან, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ცხადადა ჩანს, რომ სიტყვა „პატრონი" მეფესაცა ნიშნავდა. მაგრამ, როგორც პატრონი ერთსა და იმავე დროს მესაკუთრეს, მფარველს და მეფეს, ანუ ხელმწიფესაც ნიშნავდა, თავის მხრივ სიტყვა „ყმა", ანუ „მოყმე" ქვეშევრდომსაც ნიშნავდა, თუნდა ეს ქვეშევრდო-

მი: დიდებული აზნაური და მოხელე ბრძანებულიყო, მაგალითად, თამარ მეფის მემატიანე თამარის მომხრე დიდებულების შესახებ ამბობს: „მიეცა ძლევა მოყმეთა თამარისათა“ (ქარ. ცხ. 429). სხვა ადგილას იგივე ავტორი მოგვითხრობს „მოვიდეს მოეგებნეს წინა ფანასკერტელი ზაქარია და ძინიელი, კალმახელნი, ყმანი კარგნი, პატრონთაგან შეწყალებულნი-ო“ (ქარ. ცხ. 432). ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში ყმანი, ანუ მოყმენი ქვეშევდომებსა ნიშნავენ, ე. ი. სახელმწიფო ცხოვრების მოვლენას ახასიათებენ. რომ სიტყვა „ყმას“ „პატრონი“-სავით პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა და სახელმწიფო ცხოვრების დამოკიდებულებათა გამომხატველი იყო, ნათლად შეიძლება დავინახოთ შემდეგ გარემოებიდან: ჩვენი მემატიანენი ათაბაგსა და შირვანშაჰს, რომელნიც საქართველოს მეფის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, თამარ მეფის „ყმებს“ ეძახიან (ქრ. ცხ. 448). ამ შემთხვევაში სიტყვა „ყმა“ დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნოების განმავლობაში ძალიან გავრცელებულ სახელწოდებას vassus, vassalus (ვასსუს, ვასსალუს) ეთანასწორება ამგვარად, ყველა საისტორიო საბუთებიდან ნათლადა მტკიცდება, რომ პატრონყმობა ერთისა და იმავე დროს სოციალურ ცხოვრების დამახასიათებელი იყო, სახელმწიფო ცხოვრების წესწყობილებისაც: პატრონი—მეფესაც ნიშნავდა, მესაკუთრეს,

მზრუნველსაც;—მოყმე, ანუ ყმა—ქვეშევრდომსაც დაერქმეოდა ხოლმე ყმასაც. ერთის სიტყვით, კერძო და სახელმწიფო ცხოვრების მოვლენანი და დაწესებულებანი ერთი ერთმანეთზე იყვნენ გადაბმული და შედუღებული, თითქოს სახელმწიფო წესწყობილება საქართველოში კერძო ცხოვრების განწყობილების „პატრონყმობა"-საგან ყოფილიყოს წარმომდგარი. ერთ დროს მაინც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დერძს სწორედ ეს პატრონყმობა შეადგენდა. ამ მხრივ საყურადღებოა აშოტ კურაპალატას მოქმედება თავის ახალ სამფლობელოში შავშეთ კლარჯეთში; მემატიანე მოგვითხრობს, რომ „ხევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირეთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლობისასა აოხრდა... კვალად შემდგომად მისსა სლვამან სალმობისამან მოაოხრა შავშეთი და კლარჯეთი და მცირედღა დაშთნეს კაცნი ადგილ ადგილ ხოლო და მთომილოთა მათმკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგივ სიხარულითა და საყვარულითა და დაემკვიდრა მუნ და მისცა ღმერთმან გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ კლარჯეთსა ზედა და მან სოფელში ზოგი იყიდა საფასით და ზოგი ოხერი ალაშენა და განამრავლა სოფლები კურაპალატმან ქვეყანათა მათ შინა" (სამ. ისტ. ქრონ., სუმბატის ქრონ. 52). ეს პატარა ნაწყვეტი მაშინდელ საზოგადოების ცხოვრების სურათს საუცხოვოდ გვიხატავს; აშოტ კურატ

პატრონი, როგორც მემატიანე მოგვითხრობს, აოხრებულ ქვეყანაში მისული და სპარსეთის განადგურებისა და შავი ჭირის მუსრისაგან გადარჩენილ ადგილობრივ მცხოვრებთ იგი სიხარულით მიუღიათ; ხოლო მისი უფლება და მფარველობა ნებაყოფლობით შეუწყნარებიათ; აშოტი მათ მფარველობას გაუწევდა, დაიცავდა განსაცდელისაგან, მცხოვრებნი-კი თავის მხრივ მის უფლებას დაჰყაბულდნენ და ამით, რასაკვირველია, პირადი თავისუფლება შეეზღუდათ და დამოუკიდებელ მკვიდრო ბატონი გაიჩინეს; ამას ლათინურად fundorum patrocinia ერქვა, ქართულად კი შეიძლება „შეწყნარებული პატრონობა“ დავუძახოთ. ამავე დროს მემატიანეს სიტყვით აშოტს ზოგი სოფლები ფასად გაუყიდნია, ესე იგი პირად კერძო საკუთრებად განუთვისებია და ზოგი კიდევ ოხერი მიწები და ნასოფლარები, რომელნიც მის საპატრონო საკუთრებას შეადგენდნენ, აღუდგენია და დაუშენებია საქართველოს სხვა ადგილებიდან გადმოყვანილ ხალხით; ამგვარად აშოტს თავისუფალი და ცარიელი მიწები მათთვის უწყალობებია; ასეთ საქციელს რომაელები beneficia'ს ეძახდნენ, ხოლო ქართულად შეიძლება „წყალობითი ბატონობა“ დავარქვათ სახელად. ამნაირად ზემო მოყვანილ მემატიანეს სიტყვებიდან სჩანს, რომ აშოტის სახელმწიფო უფლება fundorum patrocinia'-სა და beneficia ზე იყო დამყარებული, ანუ ქართულად რომ

ვსთქვით „შეწყნარებულ და წყალობით პატრონობაზე“, ერთი სიტყვით კერძო უფლებრივი თვისება ჰქონდა. საქართველოს სამეფო მთლიანად პატრონყმობაზე იყო დაფუძნებული: როგორც მეფე თავის დიდებულ ქვეშევრდომებ—„მოყმეების“ პატრონად ითვლებოდა, ისევე თავიანთ მხრივ ეს მეფის ყმები საკუთარ ხელქვეითების პატრონებად ითვლებოდნენ, ხოლო ხელქვეითნი, როგორც ჩვენ ზემოდ მოყვანილ ატენის წარწერიდან დავინახეთ, ყმებად ითვლებოდნენ; ამ ყმებსაც თავიანთ მხრივ საკუთარი ყმები ჰყავდათ ხელში, რასაკვირველია, ისინი მათ პატრონებად ითვლებოდნენ. ამ ნაირად მთელი მაშინდელი საქართველო მეფიდან მოყოლებული უბრალო მდაბიომდე პატრონყმობის უღელში იყო შებმული და ცხოვრების ტვირთს მიეწეოდა; რომ დიდებული მოხელეებიც მეფისავით პატრონებად ითვლებოდნენ, ცხადად სჩანს ჩვენ მემატიანეების თხზულებებიდან; დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ისტორიკოსები მაგალითად შემდეგ პირებს ასახელებდნენ: გუზან „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“ (ქართ. ცხოვ. 426), ვარდან დადიანი „პატრონი ორბეთისა და კაენისა და ლიხთიქით ნიკოფსიამდის ყოვლობლად ქონებისა.“ (ქარ. ცხ. 426), მხარგრძელი „პატრონი ლორისა“ (ქარ. ცხ. 431), აფრიდონ „თმოგვისა და სხვათა ციხეთა პატრონი იოაა ბლ[illegible]აული“ (ქარ. ცხ. 408), ოთანე ვარდა-

ნისძე „პატრონი კაკისა“ (ქრ. ცხ. 428) და მააჟ „პატრონი კაიწონისა„ (ქარ. ცხ. 428).

## თავი მეოთხე

რის უფლება ჰქონდა საქართველოს მეფეს და რა საქმეებს განაგებდა ხოლმე იგი? მეთორმეტე საუკუნეში ჩვენი მეცნიერები იტყოდნენ ამაზე „რაოდენი საქმენნი ეთხოებიან მეფობასა“-ო? რასაკვირველია, ამ საკითხის გადასაწყვეტად უმეტეს ის ემჯობინებოდა ამის პასუხი იმ დროინდელ თხზულებებში ამოგვეკითხა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ დრომდე არც ერთ ისეთ ქართულ თხზულებას არ მოუღწევია, სადაც საქართველოს მაშინდელ სახელმწიფო წესწყობილებაზე იყოს ლაპარაკი. მართალია, თუმცა ჩვენ არავითარი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, რომ ამ გვარი თხზულებები ოდესმე ქართულად დაწერილიყოს, მაგრამ ერთი გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო: მაშინდელ ჩვენ მეზობელ ერებს სპარსელებსა და განსაკუთრებით არაბებს დიდი მწერლობა ჰქონდათ თავიანთ სახელმწიფოთა წესწყობილებისა და მოხელეთა უფლების შესახებ; სპარსულად დაწერილ გამოკვლევას „სიასეტ ნამე“-ს ავტორი ნიზამ-ულ-მულკი ჩვენ სახელოვან მეფის დავით აღმაშენებლის უფროსი თანამედროვე იყო; ცოდნით და მწერლობით მაშინ ქარ-

ველები თავიანთ მეზობლებს თითქმის არა-
ვრით არ ჩამოუვარდებოდნენ, ამიტომ მოსა-
ლოდნელია, რომ ჩვენშიაც ყოფილიყო გავრცე-
ლებული სასჯულთმეცნიერო გამოკვლევათა წე-
რა, — სხვა და სხვა თხზულებები საქართველოს
ეს-წყობილებისა და კანონმდებლობის შესახებ.
ვენი ძველი მწერლობა ძალიან ნაკლებად არის
ელ წაგლილი, ამიტომ შეუძლებელია ოდესმე
მ გვარი თხზულებები აღმოჩნდეს კიდეც. მა-
ამდისინ-კი მკვლევარი იძულებულია მაშინდელ
ისტორიით მასალებს და მთავრობის მიერ გა-
ოცემულ სიგელებს მიჰმართოს: იქაც საკმაო
და საყურადღებო ცნობების პოვნა შეიძლება.
ავით აღმაშენებლის მემატიანე მაგალითად
რით საუცხოვო ცნობას შეიცავს მეფის
ფლებათა შესახებ; იგინ აღრაცხნეს, ამბობს
ისტორიკოსი, რაოდენნი საქმენი ეთხოებიან
ეფობასა, რაოდენი მართებანი და განსა-
ებელნი: კიდეთაპყრობანი, სამეფოსა წყრა-
ობისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი,
თავართ ზაკვისა ცნობანი მხედართა განწესებანი
ერთა შიშნი, სახელოთა და საბჭოთა სჯანი,
ჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემ-
ხვევანი და პასუხნი, მეძღვნეთა ჯეროვანნი მი-
გებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წრთვნანი,
სახურებელთა ნიჭმრავლობანი, მოჩივართა მა-
თალნი გამოძიებანი, ქისაკითხავთა შესატყვისნი
ოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი
იმართებანი, და რაოდენნი ვინ აღმაწყნეს სი-

ტყვთა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთა-სა“ (ქარ. ცხ. 371). ეს შესანიშნავი ნაწყვეტი გვიჩვენებს, რომ მაშინდელ ქართველ განათლებულ საზოგადოებაში საკამათო ჰქონიათ ხოლმე სამეფოს წესწყობილების სხვა და სხვა ძირითად საკითხების შესახებ, იმაზე თუ „რაოდენნი საქმენნი ეთხოებიან მეფობასა, რაოდენი მართებანი და განსაკებელნი.“ მაგრამ მემატიანეს სიტყვები აგრეთვე ცხადად ამტკიცებს, რომ საქართველოს მეფეები „მართებანი“ და „სათხოარნი საქმენი“, ანუ მეფეთა უფლება და მოვალეობანი მაშინდელ ისეთ განათლებულ და ნასწავლ მწერლებს, როგორიც მაგალითად დავით აღმაშენებლის მემატიანე იყო, ჯერ კიდევ სავსებით გამორკვეული არა ჰქონდათ. ეს გამოურკვევლობა ასტროკოსის სიტყვებს ნათლად ეტყობა: ვინ აღრაცხნოს რაოდენნი მართებანი და განსაკებელნი ეთხოებიან მეფობასა“-ო გაოცებული კითხულობს ჩვენი მემატიანე და კარგი ამ კითხვის კილოზედვე შეეტყობს, რამდენად დარწმუნებულია იგი, რომ მეფობის ყველა განსაკებელ საქმეების ჩამოთვლას ვერავინაც ვერ შესძლებს. ისტორიკოსი თითონაც ცდილობს, აღრიცხოს საქართველოს ხელმწიფეთა მართებანი და მოვალეობანი, მაგრამ ბოლოს თითონ გრძნობს, რომ ამ საკითხის გამორკვევა სავსებით არ ძალუძს და ამის გამო ისევ კითხულობს „რაოდენნი ვინ აღმოწყვნეს სიტყვათა უფსკრულო-

საგან სამეფოთა საქმეთა“-ო მაშასადამე ჩვენი მემატიანეს სიტყვით მეფის მოვლენობანი უფსკრულსა ჰგავდა, და ვინ უგუნური იქნებოდა, რომ ამ უფსკრულისა პირი ეპოვნა და სიღრმე აღმოეწყო?.. ამგვარი მემატიანეს უძლურება ამტკიცებს, რომ მაშინდელ მეცნიერებს ძალა არ შესწევდათ ცხოვრების მრავალ მხრივი და ყოველ დღიური შემთხვევანი რამდენიმე უმთავრესი ერთნაირი ცხოვრების მოვლენად ჩაეთვალათ: ისინი თვითოეულ სახელმწიფო ცხოვრების შემთხვევას ცალკ-ცალკე ასახელებდნენ და, ეტყობა, ფიქრადაც არ მოსდიოდათ რამდენიმე ერთგვარი მოვლენა ერთად დაესახელებინათ; მემატიანე მაგალითად ზემომოყვანილ ნაწყვეტში სხვა და სხვა სახელით ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკობს: სამეფოსა წყნარობისა ღონენი, მთავართა ზავისა ცნობანი, საეროთა შიში, შემცოდეთა წყალობითნი წყრთნანი და მსახურებელთა ნიჭმრავლობანი. ჩვენთვის ეხლა რასაკვირველია ცხადი არის, რომ მთავართა ზავის გაგება და სამეფოს დაწყნარებისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად ღონისძიების ხმარება ერთსა და იმავე საგანს, სახელდობრ სამეფოს გამგეობას შეეხება; როცა მეფე იმის ცდაში იყო თავის სამფლობელოში მყუდროება როგორც ჩამოეგდო, უეჭველია იგი „შემცოდე“ მეამბოხეებს დასჯიდა, ხოლო ერთგულ მოყმეებს წყალობას გაუმრავლებდა; ამგვარად ესეც გამგეობას შეეხებოდა, ჩვენმა მემატი-

ანემ-კი თითქოს ეს არ იცის. იმავე ნაწყვეტში ისტორიკოსი სამ სხვა და სხვა ადგილას სამხედრო, ანუ სალაშქრო საქმეებზე ლაპარაკობს: მაგალითად, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მხედართან განწესებანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი; ყველა ეს საზრუნავი სამხედრო საქმეებს შეეხება და ჩვენ ეხლა, რასაკვირველია, თვითოეულ კერძო სალაშქრო მეცადინეობისა და ვარჯიშობის ჩამოთვლას არ დავიწყებდით, არამედ აღვნიშნავდით მხოლოდ საზოგადოთ „სამხედრო საქმეებით“. იგივ უნდა ვთქვათ “საერთაშორისო საქმეების შესახებაც: მემატიანე რამდენჯერმე ლაპარაკობს ერთსა და იმავე საგანზე, მაგალითად: მოციქულთ შემოხვევანი და პასუხნი, მეძღვნეთა ჯეროვანი მისაგებელნი და მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი. ერთი სიტყვით, ჩვენა გხედავთ, რომ მაშინდელ მეცნიერთა წრეებში სისტემატიურ მსჯელობას ჯერ კიდევ საკმაოდ არა ჰქონდა ფეხი მოკიდებული, თვით სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესიც ვერ იყო ამ მხრივ საკმაოდ განვითარებული, მაშინდელ საქართველოში, როგორც ყველგან საშუალო საუკუნოების დროს, შრომისა და მოვალეობათა კანონიერი განაწილება და განსაზღვრა არ არსებობდა.

თუმცა ზემოთმოყვანილი მეფობის მართებანი და განსაგებელი საქმეები ხეირიანად და თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისად ვერ არის ჩამოთვლილი, მაგრამ მაინც საყურადღებოა,

რადგან მაშინდელ პოლიტიკურ სიბრძნესა და მსჯელობას ახასიათებს ამასთანავე იმ ნაწყვეტის საშუალებით მკვლევარს შეუძლიან დაახლოვებით მაინც გამოარკვიოს, რა და რა შეადგენდა საქართველოს მეფეების უფლებასა და მოვალეობას; სამ ზემოდ დასახელებულ: საგამგეო, სამხედრო და საერთაშორისო საქმეების გარდა, ხელმწიფის განსაკუთრებულ საქმეთა ჯგუფს ეკუთვნოდა აგრეთვე „საკუთრებითა შემოსავალნი", ანუ საფინანსო საქმეები,—„მომჩივართა მართალნი გამოძიებანი, ანუ მართმსაჯულება,—და „საველოთა და საბჭოთა სჯანი". ანუ საკანონმდებლო (და საგამგეო, რა მხრივ?) მოღვაწეობა. აქ სრულებით მოხსენებული არ არის საეკლესიო საქმეები, მაგრამ ეს, რასაკვირველია, შემთხვევით იქნება გამოტოვებული მეპატიანეს ნუსხაში.

რასაკვირველია, მეფეს პირადად ყველა საქმეების განგება არ შეეძლო. მართვა-გამგეობის ტვირთვის გასაადვილებლად მას თანამშრომლები ჰყავდა. ჩვენში მაშინ მეფის თანამშრომლებს „დიდებულ მოხელეებს" ეძახდნენ. საგამგეო საქმეები ეკითხებოდა ხოლმე ვაზირს და მწიგნობართ უხუცესს, იგი ყველა მოხელეებზე უფრო დაწინაურებული იყო და სამეფო დარბაზის მწიგნობართა უფროსად ითვლებოდა; იგივე მოახსენებდა ხოლმე მეფეს ეკლესიის საქმეებისა და საჭიროებათა შესახებ: ვაზირი და მწიგნობართ უხუცესი შეჯგვლად სამღვდელო პირი

უნდა ყოფილიყო, სახელდობრ ჭყონდიდელი მთავარ ეპისკოპოსი; ამგვარად იგი დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნოების სახელმწიფოების კანცლერს მოაგვაგონებს. ლაშქრის გამგეობა, მოწყობა და ომიანობის დროს წინამძღოლობა ამირ სპასალარის საკელოს შეადგენდა. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი მეჭურჭლეთ უხუცესს ეკითხებოდა ხოლმე. ეხლა ჩვენ არ შეგვიძლიან საქართველოს სახელმწიფოს მოხელეთა უფლებანი და მართებანი უფრო ვრცლად განვიხილოთ, იმიტომ რომ ამ საგანს ჩვენ დღევანდელ გამოკვლევასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ თუმცა ზემოამოყვანილ ისტორიკოსის სიტყვების თანახმად „მომჩივართა მართალნი გამოძიებანი“, ანუ მართმსაჯულება მეფეს განსაგებელ საქმეთა ჯგუფს ეკუთვნოდა, მაგრამ საბუთებიდანა სჩანს, რომ მუდმივ ასეთი წესი არა ყოფილა და ერთ დროს მართმსაჯულება მეფის პირდაპირ განსაგებელ საქმეთა ჯგუფს აღარ ეკუთვნოდა. რასაკვირველია, როცა მემატიანე ამბობს მეფეს „მომჩივართა მართალნი გამოძიებანი“ ეკითხებოდაო, ის ამას ნიშნავს, რომ მეფე უმაღლესს მსაჯულად ითვლებოდა ხოლმე; მისი წამდაუწუმ, წვრილმან საჩივრებით შეწუხება არ იქნებოდა, ამისათვის განსაკუთრებული მოსამართლეები იყვნენ დაწესებულნი. მეფე მაშასადამე უზენაეს მსაჯულად ითვლებოდა; იგი პირადად ისმენდა გაჭირვებულის საჩივარსა და სათხოვარს და

თითონვე სდებდა ხოლმე განაჩენს. მაგრამ მეფემ ასე არა ყოფილა. ძველი წესი დავით აღმაშენებლის დრომდე მოქმედებდა, ხოლო ამ სახელოვანმა მეფემ მართმსაჯულებას ახალი გზა გაუკვლია. დავით აღმაშენებლის მემატიანე ჩვენ სამართლის ამ თვალსაჩინო წარმატებისა და გაუმჯობესების ამბავს ამნაირად მოგვითხრობს: „სლვასა შინა თვისთა სამეფოთასა სიმრავლეთა სპათათა და სიმაღლეთა სლვისათა", სწერს ისტორიკოსი, მეფეს „ვერ ადვილად მიემთხვეოდიან მომჩივარნი და დაჭირვებულნი, განადა ვიეთგანმე რომელთა საჭიროდ უხდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი, ნუ უკუე და ვინმე აღვიდის ბორცვსა ზედა რასამე გზასა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე, უკეთუ ოდენ ეპოვოს ესე ვითარი საქმე და მუნით საცნაურ ყვის პრტინვა თჳსი, ამისთვის დაედგინნეს კაცნი მართლიად მცნობელნი და განმკითხვარნი მომჩივართანი, რომელთა მიერ მოიღებდეს კურნებასა" (ქრ. ცხ. 373). როგორც ამ შესანიშნავ და ძვირფას ცნობიდან ჩანს, ვიდრე დავით აღმაშენებელი ამ ახალ წესს შემოიღებდა, თითონ მეფე ყოფილა პირადად მსაჯულად, მაგრამ როცა სახელმწიფო გაფართოვდა და სახელმწიფოს საზღვრებში შესამჩნევლად გაიწია, ცხოვრებაც რასაკვირველია გართულდა, სამეფოს მართვა-გამგეობა გაძნელდა. მეფე იძულებული იყო თავისი განიქმული მხნეობა და თავისუ-

ფალი დრო გაერთიანებულ საქართველოს პო-
ლიტიკურ ძლიერების დამყარებისათვის მოეხმა-
რებინა. ამისთვის-კი სწრაფი დაშქრობა და
მუდმივი სამხედრო სამზადისი და მოქმედება
იყო ხოლმე საჭირო. მეფეს, რასაკვირველია,
დრო და მოცალეობა არ ექნებოდა და ამის გამო
„მომჩივართა“ საქმეების გარჩევას ვეღარ მოა-
სწრობდა. მეფე რომ ერთ ადგილას არ გაჩერდე-
ბოდათ ხოლმე, მომჩივარნი და მთხოვნელები
ცდილობდნენ სადმე გზაში მაინც დახვედროდნენ
მას და თავიანთი ჭირ-ვარამი და დარდი შე-
ჩივლათ; ისინი, მემატიანეს სიტყვით, გზის პი-
რას გორაკებზე, ან მაღალ კლდეებზე ავიდო-
დნენ ხოლმე, ან არა და ხის კენწეროზე
მოექცეოდნენ, ოღონდ-კი მეფემ როგორ-
მე შეგვამჩნიოს და ჩვენი ამბავი იკითხოსო.
ნიჭიერმა და შორსგამჭვრეტამა ხელმწიფემ
მომჩივართა და მართ-მსაჯულების ასეთ გაჭირ-
ვებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია და
საქმის მოწესრიგება დააპირა. რაკი თითონ
მეფეს მოცალეობა არა ჰქონდა, ამიტომ ყველა
მეფესთან ნაჩივარ საქმეების გამოსაძიებლად
და გასარჩევად მან ახალი დაწესებულება დააარსა,
სადაც „კაცნი მართლიად მცნობელნი“ დაად-
გინა; ამიერითგან უზენაესი მართლ-მსაჯუ-
ლება საქართველოში ამათ ეკითხებოდა, ე
მეფის პირადი განსაგებელი საქმე აღარ
იყო; შესაძლებელია მხოლოდ მისთვის უზე-
ნაეს მოსამართლეთა განაჩენი დასამტკიცებლად

წარედგინათ ხოლმე.

ჩვენ არ შეგვიძლიან ეხლა უფრო ვრცლად განვიხილოთ ის საკითხი, თუ რა და რა საქმეები ეკითხებოდა ამა თუ იმ დიდებულ მოხელეს, იმიტომ რომ ამ საკითხვისათვის ცალკე გამოკვლევა იქნებოდა საჭირო, თუ-კი ჩვენ მოვინდომებდით ჯეროვნად შეგვესწავლა იგი,— აგრეთვე იმის გამო, რომ ჩვენ აწინდელ კვლევის საგანთან მჭიდრო კავშირი არა აქვს. საქართველოს მეფეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მრავალი სხვა და სხვა საქმეები ეკითხებოდა ხოლმე, მაგრამ მეფის უფლების თვისება რომ უკეთესად გავითვალისწინოთ. უკეთესი იქნება, თუ მეფის თვითოეულ განსაგებელ საქმეებს ეხლა თავს დავანებებთ და უმთავრესის საზოგადო საკითხის გამორკვევას შევუდგებით, სახელდობრ, თუ რა უფლებები ჰქონდა საქართველოს მეფეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, სრული, განუსაზღვრელი თვითმპყრობელი ბრძანდებოდა იგი, თუ მისი მოქმედება ცოტად მაინც შეზღუდვილი იყო?

## თავი მეხუთე

თითონ მეფეებისათვის რომ გვეკითხნა, უეჭველად ისინი დაუყოვნებლივ გვიპასუხებდნენ, „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა“ სრულის უფლებითა ვართ აღჭურვილნი; ჯერ გიორგი II

ერთ თავის სიგელში „აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელის“ სახელი უწოდა თავისთავს. ჩვენთვის ამ მეფეთა შეხედულობას ეხლა, როცა მათ უფლების ჭეშმარიტ თვისებისა და სივრცის გამორკვევას უნდა შევუდგეთ, არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს; მაშინდელ მეფეების ბრძანება-სიგელები და მემატიანეთა მიერ მოთხრობილი ამბები უფრო მიუდგომელ და პირუთვნელ საბუთებს შეადგენენ ამ საკითხის გამოსარკვევად. დიდიხანია როგორც სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ისე განათლებულ საზოგადოებაში ერთი ახირებული და შემცდარი აზრია გავრცელებული, ვითომც საშუალო საუკუნოებში და ქრისტეს წინა დროს აზიის ყველა სახელმწიფოში განუსაზღვრელი, სრული თვითმპყრობელობა იყო გაბატონებული, ვითომც იქ მეფის სურვილსა და განზრახვას კანონის ძალა და გასავალი ჰქონდა და დაუყოვნებლივ, სიტყვის შეუბრუნებლივ უნდა აესრულებინათ ქვეშევრდომებს. ამისთანა სახელმწიფო წეს-წყობილებას, როგორც მოგეხსენებათ, აზიურ დესპოტიის, ანუ აზიურ მტარვალობის სახელიც-კი დაარქვეს. რასაკვირველია, ყველა აღმოსავლეთის სახელმწიფოზე ლაპარაკის ხამოკლებას ჩვენ ვერ გავბედავთ, მაგრამ საქართველოს ისტორიის შესწავლა და ძველმორე დაწერილები, იმედია, საკმაოდ შეარყევს ამ ყალბ და უსაფუძვლო აზრს.

საქართველოს მეფის უფლებათა სივრცის გამორკვევას ჩვენ მისი ტახტზე აბრძანების პირ-

გელ მოქმედებიდანვე შევუდგებით. უძველესი ქართული იურიდიული საბუთები გვიჩვენებენ, რომ ხელმწიფე ტახტზე აბრძანდებოდა თუ არა, ყველა დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელთაც განსვენებულ მეფეთა მიერ წყალობის, ან კიდევ ბრძანების წიგნები ნაბოძები ჰქონდათ, მოვალენი იყვნენ ახალ ხელმწიფისათვის მიერთმიათ და საბუთების დამტკიცებას შეჰვედრებოდნენ. როცა მეფე თავის მოყმეს ისეთ წყალობის წიგნს აძლევდა ხოლმე, რომელიც „საუკუნოდ“ ურღვევლად უნდა დარჩენილიყო, იგი თავის ნაბოძებ ბრძანებაში უეჭველად ჩაუმატებდა ხოლმე: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა... დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშლავთ ბრძანებულსა და გაგებულსა მას ჩუენსა“-ო (იხ. ბაგრატ IV, 1058 წ. სიგელი, ჟორდანია, ისტ. საბ. შიომღ. 4); ასეთი თხოვნა-უველა უძველესს მეფეთა სიგელებსა აქვს ჩართული (იხ. ibid. მეორე სიგელი ბაგრატ IV, გვ. 9; გიორგი II, გვ. 12; დავით აღმაშენებელისა, გვ. 19 და სხვა). ჩვენამდის სწორედ ერთმა ასეთმა საბუთმა მოაღწია, სადაც მეფე გიორგი II შიომღვიმისადმი წინანდელ მეფეთა ნაწყალობებ უფლებებს უმტკიცებს. მეფე ბრძანებს: „მოვიდეს მღვიმესა ჩუენ წინაშე წმიდა მამა მიქელ და ყოველნი მამანი, მკვდრნი მღვიმისანი და მოიხვნეს სიგელნი მამათა და

პაპათა ჩუენთანი და დაწერილნი მთავართ ყოველთა და აზნაურთა... რათა იგი სიგელნი გაუახლენით და დაწერილნი დაუმტკიცენითო" (ibid. გვ. 10). ამ დამტკიცების და უფლებათა ხელახლების საბუთის ბოლოს ნათქვამია: „დაიწერა ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა პირველსა (ა) (ibid გვ. 12). რასაკვირველია შემდგომის მამებს გიორგი II-სათვის იმის მეფობის პირველ წელს იმიტომ წარუდგენიათ დასამტკიცებლად, რომ მათ საბუთებს ძალა და მნიშვნელობა არ დაჰკარგოდათ. ჩავუკვირდეთ ეხლა ამ მოვლენას და გამოვარკვიოთ, თუ რას მოასწავებს იგი. თუ მეფეებს საჭიროდ მიაჩნდათ რომელიმე მოყმის მამულს, ან სხვა უფლებას რომ უწყალობებდნენ, სიგელში აუცილებლად ჩაემატებინათ ხოლმე შემდგომად მომავალ მეფეების მიმართ თხოვნა, ჩემი ბრძანება და წყალობის წიგნი დაამტკიცეთ და ნუ გააუქმებთო, უეჭველია ისინი დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ მათ შემკვიდრე მეფეებს შეეძლოთ წინაპართა ნაბრძანები და წყალობისწიგნი მოეშალათ. რამდენად დარწმუნებულნი იყვნენ საქართველოს ხელმწიფეები, რომ მათ მოადგილეებს მათის ბრძანების დარღვევა შეეძლოთ, იქიდანა სჩანს, თუ რა საშუალებასა ხმარობდნენ ხოლმე მეფენი, რომ-კი თავიანთ წყალობის წიგნისათვის საუკუნო უქცეველობა მიენიჭებინათ; თხოვნის გარდა ისინი სიგელში ყოველთვის ჩაურთავდნენ

ხოლმე: „უკუეთუ ვინმე, რასაცა ჟამსა რაიცა გუარი კაცი, დიდი გინა მცირე ადგეს და ამა ნაქნარსა ჩუენსა აქცევდეს გამცაურისხდების მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ და ესემცა წმიდანი მოციქულნი არიან მსაჯულნი სულისა მათისანი დღესა მას განკითხვისასა“.(შიომღ. ისტ. საბ. 9, ბაგრატ IV, 1058 წ. სიგელი). ამ გვარივე წყევლა-კრულვა ყველა საბუთებში მოიპოვება (იხ. შიომღ. ისტ. საბ.). მაგრამ, მეფეების აზრით, არც ეს კმაროდა; რომ წყევლას გაეკრა და მომავალში საბუთი ვისმე არ დაერღვია, ამისათვის ისინი თვითოეულ თავიანთ სიგელების ბოლოს მაამტებინებდნენ ხოლმე: „თქვენ ქრისტეს მიერ... ქართლისა კათალიკოზმან და წმიდათა მღვდელთ მოძღუართა დაწერილი ესე ჩუენი დაამტკიცეთ, ვითა წესი არს წყევლანი და შეჩუენებანი დაწერენით ვინცა ოჳქციოს და შეცვალოს“-ო. (ბაგრატ IV-ის სიგელი. 1058 წ. ibid. 4). ასეთივე თხოვნა ჩართულია ბაგრატ IV მეფ. სიგ. ibid. 9: გიორგი II 1072 წ. სიგელში, ibid. 12; დავით აღმაშენებლის ანდერძში, ibid. 19). კათალიკოზებიც გულმოდგინედ ასრულებდნენ ხოლმე მეფეთა თხოვნას; აი, მაგალითად, როგორ სწყევლის და შეაჩვენებს მეფის სიგელის ურისმყოფელთა და გამაუქმებელთ გიორგი კათალიკოზი: ვინც ბაგრატის სიგელს დაარღვევს, „ჰრისხვამსცა მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ, ღვთისმშობელი, კრულმცა არიან დაუსაბამოჲსა უფლისა სიტყუ-

თა, ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა მადლითა, ექუსთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა, წმიდისა დედაქალაქისა და ისუეტი ცხოველისა მადლითა, ჩემ გლახაკის ჯუარითა გაუხსნელად სულით და ხორცით ამას ყოფასა და მას საუკუნესა არსმცა ნაწილი მისი იუდასთანა ისკარიოტელისა და ყოველთა მწვალებელთა და უფლის უარისმყოფელთა თანა. შერაცხილი"-ო (ისტ. საბ. შიომღ. 0 იხილე ასეთივე კრულვა სხვა სიგელებშიაც. ibid. გვ. 12, 22 და სხვა). ასეთი საშინელი და უზარმაზარი ცხრაკლიტური კრულვა-შეჩვენება იყო ხოლმე საჭირო, რომ მეფე დარწმუნებული ბრძანებულიყო, ჩემი მოადგილეები სიგელს არ გააუქმებენ და არ მოშლიანო. მაგრამ არც ეს უზარმაზარი წყევლა-კრულვა ჰშველოდა ხოლმე რასმეს. ახლაც-კი აურებელი საბუთი მოიპოვება, სადაც ნათქვამია, რომ განსვენებულ მეფეთა სიგელი არ დაამტკიცეს და მოშალესო.

ამ ნაირად ჩვენდა ზემომოყვანილ მასალებიდან—ცხადად ჩანს, რომ საქართველოს მეფეთ მეფის ბრძანებას მნიშვნელობა და გასავალი მხოლოდ მის სიცოცხლის დროსა ჰქონდა, ქსე იგი თვითეულ მეფის ბრძანებისა და განკარგულების მოქმედებას საზღვარი ედო: ეს საზღვარი მეფის სიკვდილი იყო; თვითეულ განსვენებულ მეფის ბრძანებასა და წყალობის წიგნს მხოლოდ მაშინ შერჩებოდა ხოლმე ძალა და მნიშვნე-

ლობა, თუ სამეფო ტახტის მოადგილეები შეიწყნარებდნენ და უქცეველობას დაუმტკიცებდნენ.

ჩვენამდის ერთმა საყურადღებო საბუთმა მოაღწია, რომელიც საუცხოოდ გვიხატავს, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდებოდნენ ხოლმე ის პირები, რომელნიც თვითოეულ ტახტზე ახლად აბრძანებულ ხელმწიფისათვის თავის მფლობელობის, ან წყალობის წიგნი დასამტკიცებლად არ წარუდგენიათ. ეს საბუთი ბაგრატ IV-ის სიგელი გახლავთ: „მოვიდეს ჩვენ წინაშე, ბრძანებს მეფე, ქუთათის, სახლსა სამკვიდრებელსა ჩვენსა, ესე მამანი მიჯნაძორთელნი და მამანი ოპიზარნი... და მოიხვნეს სიგელნი გურგენ ერისთავთ ერისთავისა, გურგენ მეფეთ მეფისა, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისა და მამისა ჩემისა გიორგი მეფისა, რომლითა იგი ტბენი და ზღვარნი მიჯნაძოროისთვის დაემტკიცნეს და კრულობით მოწმობანი კათალიკოზთა და მღვდელთმოძღუართანი,—და მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისა (†889), რომლითა მას ტბესა და ზღვარსა მიჯნაძორთელთა ერჩოდეს და ამათ მიჯნაძორთელთა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი, რომელ ოპიზართათვის დაუწერია არა ხსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არც გარდაგდებულად“ (შიო მღ. ისტ საბ. 8). ოპიზას მონასტრის ბერებს, როგორც ამ საბუთიდან სჩანს, გუარამ მამფლისაგან მამული საჩუქრად

მიუღიათ, მაგრამ უთაურობისა და დაუდევრობის გამო თუ სხვა რაჲმე მიზეზით გუარამ მამფლის (†882) სიკვდილის შემდეგ ოპიზელ ბერებს თავიანთ წყალობის წიგნი არ წარუდგენიათ ხელმწიფეებისათვის დასამტკიცებლად და ის მამული, რომელიც მათ გუარამ მაფლისაგან ჰქონდათ ნაბოძები, გურგენ ერისთავთა ერისთავს მიჯნაძორელთათვის გადაუცია. მიჯნაძორის მამებს თავიანთი უფლება კანონიერად დაუცავთ. და ყველა შემდგომად მომავალ მეფეებისათვის სიმტკიცისა და მოუშლელობის ხელწერილი, ხოლო კათოლიკოზებისათვის კრულობითი მოწმობანი უთხოვნიათ და მიუღიათ კიდეც. მაშასადამე მიჯნაძორელნი ამ დავაში მართალნი იყვნენ, ოპიზელების საქმე-კი წაგებული იყო. ასეთივე მსჯავრი დასდო ამ საჩივრის განხილვის შემდეგ უმაღლეს დარბაზის კართან მოწვეულმა საბჭომაც. მეფე ბრძანებს: „ხელნი ამათნი (ე. ი. მიჯნაძორელთანი) მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გატეხა არა ჯერ იყო და სულსა მათ პირველთა მეუფეთა ვერ დავიმძიმებდით“-ო (ibid, 8). მართალია, მამული საჩუქრად თავდაპირველად ოპიზელებმა მიიღეს, მაგრამ რაკი წყალობის წიგნი შემდგომად მომავალ მეფეებს არ დაამტკიცებინეს, ამიტომ ნაჩუქარ მამულის მფლობელობის უფლებაც დაჰკარგეს. სასამართლომ მ მული მიჯნაძორელთ მიაკუთვნა,

ხოლო ოპიზელნიც რომ გულ ნაკლულნი არ დარჩნენ და დავიდარაბა საბოლოოდ მოისპოსო, ამიტომ იმათაც სხვა მამული ფუჳბოძეთო, ბრძანებს ბაგრატ მეფე.

ეს საბუთი ცხადად გვიჩვენებს, რა ნაირად აირ-დაირეოდა და დაიხლართებოდა ხოლმე საქმე, თუ რომ წყალობის წიგნს, ან სხვა რაიმე მფლობელობის საბუთს თვითეულ ტახტზე ახლად ასულ ხელმწიფეს არ წარუდგენდნენ დასამტკიცებლად. ამგვარად იურიდიული საბუთები გვიმტკიცებენ, რომ საქართველოს მეფის უფლებას მხოლოდ მის სიცოცხლის დროს ჰქონდა ძალა და მნიშვნელობა, სიკვდილის შემდეგ კი მარტო ი შემთხვევაში, როცა მოადგილე დაამტკიცებდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, თვალ-საჩინოდ და არსებითად ავიწროვებდა და ზღუდავდა მეფის უფლებას; რამდენად შეზღუდული იყო ამ მხრივ საქართველოს ბატონის უფლება, შემდეგი შედარება დაგვანახვებს: თანამედროვე სახელმწიფოებში თვითეულ მეფის ბრძანებას იმ დრომდე აქვს ძალა და მნიშვნელობა, მანამდისინ რომელიმე მომავალი მეფე არ გააუქმებს, მაშინდელ საქართველოში კი მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, თუ თვითეული მოსახლე ხელმწიფე დაამტკიცებდა მას.

## თავი მეექვსე

რა უფლებით-და იყო აღჭურვილი საქართველოს მეფე სიცოცხლის დროს, სრული თვით-

მპყრობელი ბრძანდებოდა იგი, თუ მისი მოქმედების თავისუფლება როგორმე შეზღუდული იყო? მას შემდეგ, რაც სასანელთა გვარის სპარსეთის ხელმწიფეებმა მეფის უფლება საქართველოში მოსპეს „მით ჟამითაგან, როგორც ჩვენი მემატიანე მოგვითხრობს, ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა კიდრე ამათამდე“-ო (მოქცევაჲ ქართლ. სამ ისტ. ხრ. 44) ე. ი. ბაგრატიონთა გვარის მეფეების გაბატონებამდე. მაშასადამე ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლება, რამდენადაც მათ მებატონე სპარსეთის მთავრობა ნებას მისცემდა, აზნაურების ხელში ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენ ამ ხანის შესახებ ჯერჯერობით ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება და ამის გამო მკვლევარს შეუძლიან მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარების შესწავლისა. მემატიანეს აქვს მხოლოდ ერთი გაკვრით ნათქვამი წინადადება, რომელიც საქართველოს ისტორიის აზნაურთა უფლების ხანას ახასიათებს. ბაგრატიონთა გვარის ისტორიკოსს სუმბატ დავითის ძეს ეკუთვნის ეს წინადადება, რომელსაც ოდნავ პირადი სიძულვილის და მედასეობის კვალი ატყვია; მემატიანე თავმობეზრებული გვაუწყებს: „დაესრულა ‘უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგანა“-ო (ibid. 44). ჩვენის თემისათვის ეხლა საჭირო არ არის გამოვარკვიოთ, თუ რამდენად მართალია ისტორიკოსი: ჩვენთვის ისიც კმარა, რაკი დამტკიცდა, რომ ვიდრე საქართველოში

მეფობა აღდგენილი იქნებოდა, ქვეყნის უმთავრესი უფლება აზნაურებს ეკუთვნოდათ. „ქართლის ცხოვრებიდან“ სჩანს, რომ შემდეგშიაც, ვიდრე კონსტანტინე აფხაზთა მეფე ქართლს დაეპატრონებოდა „დაიპყრობდეს ქართლსა აზნაურნი“ (გვ. 282). ქვეყნის გამგეობა აზნაურთა ხელში ყოფილა. ზემოთ მოთხრობილი იყო, თუ როგორ შეერთდნენ ქართველი მოდგმის ერთი განცალკავებული პატარა სამეფოები; მატიანედან სჩანს, რომ გაერთიანება ზოგჯერ ნებაყოფლობით იყო ხოლმე განხორციელებული, ხანდისხან-კი ძალდატანებითაც. საბუთები გვიჩვენებენ მხოლოდ, რომ მეფის უფლების აღდგენა საქართველოში ერის სურვილისა და მეცადინეობის წყალობით განხორციელებულა. რასაკვირველია, მეფობას დაარსებისათანავე აზნაურობას თანდათან კვლავინდებური უფლება და მთავრობა ხელიდან გამოეცლებოდა; ეს ამბავი-კი, რა თქმა უნდა, პატრონობას მიჩვეულ უმაღლესს წოდებას არაფრად ესიამოვნებოდა, ამის გამო, უეჭველია, გავლენიანი აზნაურობა არც თუ ძალიან მოწადინებული იქნებოდა, რომ საქართველოს პატრონი მეტის მეტად გაძლიერებულიყო. საქმე სწორედ ასეც დატრიალდა. მემატიანე, მაგალითად, გვიამბობს: „გარდმოვიდა ქართლს მეფე ბაგრატ (მე-III), რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი· მოვიდა და დაჯდა თიღვას. ხოლო მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა

ენება გარდმოსვლა მისი, რამე თუ თჳთეულად გაეგებდეს საქმეთა ქართლისათა... იწინამძღვრეს ქავთარ ჯედშელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოლ-რისასა. იხილა რა ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღჰხსნა სპათა თჳსთა, მივიდეს და შეებნეს, იოტნეს ქართველნი, რომელნიმე დაჴოცნეს, რომელნიმე შეიპყრეს და სხვანი კვალად მეოტნი გარდაიხვეწნეს და დაიფასტრეს; მოვიდა უფლის ციხესა... დაჯდა დღენი მცირედნი, განაგნა საქმენი ქართლისანი“ (ქრ. ცხ. 302, მარიამ დედ. ქარ. ცხ. ექ. თაყაიშვილის გამოც. 239). ეს მემატიანეს ცნობა გვიჩვენებს, რომ თუმცა ქართლის აზნაურები მეფობის აღდგენის წინაალმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ მისი საქმეებში და ქვეყნის გამგეობაში ჩარევა არ მოსწონდათ,—ბრძანდებოდეთ მანდ აფხაზეთში და აქაურ საქმეებს ჩვენებურად მოვაწყობთო. ქართლის აზნაურებს მაშასადამე ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლების დათმობა არა სურდათ და როცა მეფე ამათ ადგილებში გადმოვიდა, შეიარაღებულნი შეებრძოლნენ კიდეც. ამ დროიდან იწყება შეუწყვეტელი ბრძოლა ქვეყნის გამგეობის უფლების გამო მეფეებისა და აზნაურთა შორის. ხანგრძლივი, სასტიკი, ხშირად დაუნდობელი ბრძოლა თუ მეტოქეობის ხანა; სწორედ ამ ბრძოლის ისტორიის გამორკვევასა და შესწავლას უნდა შევუდგეთ ჩვენ ახლა. საკვირველია, რომ ჩვენ ისტორიის მკვლევა-

რებს აქამდისინ არავითარი ყურადღება არ მი-უქცევიათ ამ ფრიად საინტერესო და საყუ-რადღებო საკითხისათვის.

კარდაიცვალა თუ არა მეფე ბაგრატ III და ძე მისი გიორგი ტახტზე აბრძანდა, „დიდრო-ბითა“ (ჰერეთ-კახეთის) აზნაურთათა შეპყრო-ბილ იქმნეს (ბაგრატის დატყვევებული) ერისთავნი, მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალ-ნი, რომელთა აქუნდა იგი“ (სუმბატის ქრონ. სამი ისტ. ქრ. 67). აზნაურნი წინააღუდგნენ საქართველოს მეფეთ-მეფეს მისი უფლების გა-ძლიერების შესაფერხებლად და თავიანთი წი-ნანდელი მმართველობა ირჩიეს. შეერთებულ სამეფოს ჰერეთ-კახეთი ჩამოეცალა, მაგრამ შერჩენილ სამფლობელოებშიაც აზნაურები გი-ორგის დიდ ერთგულობას არ უწევდნენ. იგი-ვე მემატიანე მოგვითხრობს, ბერძნების კეის-რის ბასილის შემოსევის დროს გიორგი მე-ფეს უნდოდა უთანხმოება მშვიდობიანად გა-თავებინა, „გარნა ორკერძოვე მზაკვარნი იგი აზნაურნი არა მოეშვნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდათ მშვიდო-ბაჲ“-ო (ქრ. ცხ. 313, მარიამ დედ. ქრ. ცხ. 356). მამაზე უარესი გაჭირვება აზნაურებისა-გან იმისმა შვილმა ბაგრატ მე-IV გამოიარა: „აზნაურნი ტაოელნიო“, მოგვითხრობს მე-მატიანე სუმბატ დავითისძე, და ბანელი ეპის-კოპოსი (იოანე) და ამათთან უმრავლესნი აზ-ნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხეთა და რო-

მელხიმე ჟცისხონი, განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კონსტანტინეს, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა“ (სამი ისტ. ქრ. 75). ხოლო როცა ერთი წლის შემდეგ საქართველოს ბასილ კეისრის ჯარი შემოესია, და ქვეყნის ოხრება დაიწყო და კლდე-კარს კარს შემოერტყა, „სადა იგი იყვნეს, მემატიანეს სიტყვით, მაშინ აზნაურნი ბაგრატისნი და ბრძოლა ყვეს, გარნა არა დიდად, და განდგეს კუალად აზნაურნი და მისცნეს ციხენი, ჩანჩუხამან ერისთავმან მისცა ციხე ცეფთისა და თვთ წარვიდეს ივინი საბერძნეთს“ (ibid 76). აზნაურები იმდენად გატაცებულნი იყვნენ მეფის წინააღმდეგ ბრძოლით, რომ ღალატსაც კი არ ერიდებოდნენ ხოლმე. ამისთანა თავგანწირულ ერთგულებით საბა მტბევარ ეპისკოპოსს, აგერა ანჩელ ეპისკოპოსსა და შავშეთის აზნაურებს, რომ არ დაეხსნათ მეფე, მისი საქმე ცუდად დატრიალდებოდა. საზოგადოთ ბაგრატ მე-IV-ს დიდებულ აზნაურთა წინააღმდეგობისა და ღალატისაგან ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი. ბრძოლა იმდენად გამწვავდა, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორის სიტყვით, რომ „აბაზაძენი... კაცნი ძლიერნი და სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვსისად მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისა აღზავებულნი“ მეფეს მოსვენებას არ აძლევდნენ და წარმოიდგინეთ ისტორიკოსი ამბობს „უთველთა უწეით ჭეშმარიტებით, ვითარმედ შეწყნარებაჲ მე-

ფისა ეგულვებოდათ“-ო (საქ. მუზ. გამოც. გიორგი მთაწმ. ცხოვრება, გვ. 319) აბაზაძეებმა დადად მეფის შეპყრობაც-კი განიზრახეს, განა ამაზე მეტიდა შეიძლებოდა? ვინ იყვნენ მერე ეს თავზე ხელადებულნი აბაზაძენი? „ქართლის ცხოვრებიდანა“ ჩანს, რომ ერთი ამ ხუთ ძმათაგანი ქართლის ერისთავადა ყოფილა მაშინ (ქარ. ცხ. 323), მაშასადამე დიდებულ მოხელეთა და აზნაურთა წრეს უნდა ეკუთვნოდნენ ისინი; ამიტომაც ამბობს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორი „კაცნი ძლიერნი და ახოვანნი“-ო; ხოლო როცა იგი ამტკიცებს, აბაზაძენი „სიმართლესა ზედა ერისა აღზავებულნი“ იყვნენო, რასაკვირველია, ამ დიად აზნაურთა მრავალი მომხრენი და საკუთარი ჯარი უნდა ვიგულისხმოთ. ბაგრატ მეფემ თითონ შესჩივლა გიორგი მთაწმინდელს, „მრავალ გზის ხელმეყო და ვეროდეს განმემარჯვა“-ო (გიორგის ცხოვ. ibid. 319—20). როგორც იყო, ეს თავგასული აზნაურები მეფემ შეიპყრო და თავიდან მოიშორა (ibid. 319). მერე დაუძინებელმა მტერმა და ძლიერმა მოწინააღმდეგემ ლიპარიტმა-კი მეფეს აჯობა. ჯერ იყო და „მოიყვანა ლიპარიტ დემეტრე ძმა ბაგრატისი, სამეფოდ ბერძენთა მეფისა დაშქრითა და მეერთნეს სხვანიცა ვინმე დიდებულნი აზნაურნი“ (ქარ. ცხ. 324) ლიპარიტი, ეტყობა ბაგრატ მეფის ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა და მის მაგიერ დე-

მეტრეს გამეფება სურდა. ძლივსძლივობით მეფე და ლიპარიტი შერიგდნენ; ბაგრატი იმდენად უძლური იყო, რომ ამ თავის მედგარ მოწინააღმდეგესა და მეამბოხეს ლიპარიტს „უბოძა ქართლისა ერისთაობა“ (ქარ. ცხ. 325), იქნება ურჩი აზნაურის გული ამით მაინც მოეგოგოთ. მაგრამ არც ამ წყალობამ გასჭრა: ლიპარიტი რამდენჯერმე კიდევ აუშალა მეფე ბაგრატს და ისეთი დღე დააყენა, რომ საბერძნეთში გახიზვნის მეტი აღარა დარჩა რა. რაკი საქმე ასე დატრიალდა, ვიდრე იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვაო, მოგვითხრობს მემატიანე ლიპარიტსე ბაგრატისა გიორგი მეფედ... მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა, მოიყვანეს რუისს, აკურთხეს მეფედ და მოიყვანეს საზრდელად მისსა ლიპარიტ“ (ქარ. ცხ. 329). ასე გაიმარჯვა ლიპარიტმა: ბაგრატი ხელცარიელი დარჩა, ხოლო ახალგაზრდა მეფის აღმზრდელად თითონა ბრძანდებოდა ამორჩეული და მეფის და სამეფოს გამგეობა, რასაკვირველია, ლიპარიტს ჩაუვარდებოდა ხელში. ყველა ზემოყვანილი ცნობებიდან ცხადადა სჩანს, რამდენად ულონო იყო მაშინ საქართველოს ბატონი და რამდენად ძლიერნი იყვნენ აზნაურები, რომელნიც თავგამოდებით და დაუზოგავად ებრძოდნენ ხოლმე მეფეს. რასაკვირველია, ასეთ მეფეებს, რომელთაც საქართველოს ბატონებისავით აზნაურთა წინააღ-

მდევრობითა და ბრძოლით ილაჯი გაწყვეტილი ჰქონდათ, არ შეიძლება თვითმპყრობელის სახელი უწოდოს კაცმა, თუნდაც რომ თვით მეფეებს ჩვენ ხელმწიფეებსავით „ალმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელობად“ ალიარებინათ თავისი თავი. შეჭველია ამ მეფეების სურვილსა და სიტყვას მოუმენი კანონად არ ჩასთვლიდნენ და ადვილადაც დაარღვევდნენ. ხოლო რაკი აზნაურობა ასე ძლიერი იყო და თავის უფლებას თავგამოდებით იცავდა, მეფეს, რასაკვირველია, არ შეეძლო სამეფოს გაჭირვებასა, ან სხვა დიდმნიშვნელოვან საქმეების დროს აზნაურების დაუკითხავად რამე გაეკეთებინა; იგი ჯერ იმათთან ითათბირებდა ხოლმე, მერე საერთო სურვილის თანახმად მოიქცეოდა ხოლმე. როცა მაგალითად, გიორგი II სელჯუკთა შემოსევამ და ქვეყნის დაწიოკებამ თავი მოაბეზრა და საშინელ გაჭირვებაში ჩააგდო, მეფემ მემატიანეს თქმით ჰყო განზრახვა დიდებულთა თვისთა თანა და დაამტკიცეს წასვლა სულტანსა მალიქშას წინაშე“ (ქარ. ცხ. 346). ხელმწიფემ, როგორც სჩანს თითონ არ იცოდა რა ექმნა და ამის გამო დიდებულ აზნაურებს დაეკითხა რჩევას.

მაგრამ თუ აზნაურები იბრძოდნენ თავიანთ უფლებათა დასაცავად, არც მეფეები შესცქეროდნენ გულხელდაკრეფილნი: ისინი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ სულ იმის ცდაში იყვნენ, ზურგი როგორმე გაემაგრებინათ. თვი-

თოეული მეფეთაგანი სხვა და სხვა ხერხსა
ხმარობდა ხოლმე ამისათვის; ბაგრატ მესამე,
მაგალითად „ურჩნი თვისნი შესცვალნა დიდე-
ბისაგან და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგუ
ლნი და მისწრაფედ მორბილნი ბრძანებასა
მათსა“ (ქარ. ცხ. 304) მეფემ ხუმრობა არ იცო-
და და დაღს აზნაურს მალე მოიშორებდა ხოლ-
მე თავიდან, ეს იყო მისი საზოგადო და ჩვე-
ულებრივი ხერხი; თუ შეამჩნევდა რასმეს, ჯერ
შემატიანეს სიტყვით, „მცირედ ამხილის ყო-
ველთა, ვინ შეკუეთის ურჩი და მისსა ადგილ-
სა განადიდნის ერთგული და მისანდობელი
თვისი“. (ქარ. ცხ. 302) გიორგი მეფე-კი
(მე II) უფრო სიფრთხილითა და გულკე-
თილობით ცდილობდა თავის მოწინააღმდე-
გეების გული მოეგო: ისტორიკოსი ამბობს
„ყოველივე ერთგული და ორგული დაფა-
რა წყალობითა და დაიწყნარა მეფობა თვი-
სი გიორგი მეფემან“-ო (ქარ. ცხ. 341)
მეტი ღონე რომ არა ჰქონდა, სხვას რას
იზამდა? ცხადია მხოლოდ, რომ მოღალატი-
სა და ერთგულის თანაბარი წყალობა და და-
ჯილდოვება სახელმწიფო ცხოვრებაში გამოუ-
დეგარი საშუალებაა და მარტო უძლურ გამგეს
თუ მიეტევება, თორე სხვას არავის; ნაწყალო-
ბევი მეამბოხე აზნაური და ურჩი მოხელე თა-
ვისას არ დაიშლიდა და რაცა იმისთვის ხელ-
საყრელი იქნებოდა კვლავინდებურ გზას დაად-
გებოდა. აგი ასეც იყო ხოლმე. გიორგი მეფის

სახელოვანმა შვილმა დავით აღმაშენებელმა ეს კარად შეიგნო და როცა დიპარიტმა მამა-პაპეული ორგულობა გამოიჩინა, „ინება გაწურ-თა მისი ამისთვისცა პყრო ილო ჰყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლე-ლად გონიერისა ვისისამე და... განუტევა იგი და მითვე დიდებითა ამყოფა და არა შეუ-ცვალა“ (ქარ. ცხ. 349). ჩვენა გხედავთ, რომ უპირო წყალობის მაგიერ დავით აღმაშენებელი მოღალატეებს საპყრობილეში ამოუკრავდა ხოლ-მე თავსა. მაგრამ პირველ დანაშაულობისათვის მეფე მაინც თანამდებობას არ ართმევდა ხოლ-მე, მაგრამ თუ მოხელე თავისას არ დაიშლი-და და ორგულობას შეამჩნევდა, მემატიანეს სიტყვით, „იხილა რა შვილმან და ღვთივ განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კვალად შეიპყრა ორწელ პყრობილ ყო და საბერძნეთს გაგზავნაო“ (ქარ. ცხ. 349). მე-ფე, როგორც ჩანს, მოღალატეთა დასასჯელად საუკეთესო საშუალებად საპყრობილეს სთვლი-და. მაინც და მაინც ამისთანა შემთხვევებში დავით აღმაშენებელი ძალიან მკაცრად არ იქცეოდა და სიკვდილით არა სჯიდა დამ-ნაშავეებს, მხოლოდ სამუდამოდ საქართველო-დან განაძევებდა ხოლმე. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური სიბრძნე და შორს გამჭვრეტე-ლობა, სახელმწიფოს შინაურ საქმეების მოწეს-

რიგების მოღვაწეობა ჯერ შესაფერისად დაფასებული არ არის. მერე რა დიდი იყო ეს მეფის პოლიტიკა, რა ღრმა წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების დაკვირვებასა და ცოდნაზე იყო იგი დამყარებული. ისტორიკოსა მოგვითხრობს, დავით აღმაშენებელი დაკვირვებამ დაარწმუნაო რომ „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთგანვე თვსთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ განსუქდნენ და დიდება ჰყონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“-ო (ქარ. ცხ. 378). რასაკვირველია, აქ უმაღლეს წოდებაზე, აზნაურობაზე ლაპარაკი. დიახ, შესანიშნავმა ხელმწიფემ დაინახა, რომ აზნაურთა აშლა მეფის წინაამდეგ და ორგულობა საზოგადო მოვლენა იყო და არა შემთხვევითი; საზოგადო მოვლენა იმიტომ იყო, რომ აზნაურები ცდილობდნენ წინანდელი გავლენა და უფლება შეერჩინათ კიდევ როგორმე და მეფისათვის კი არ დაეთმოთ. დავით აღმაშენებელი ხედავდა აგრეთვე, რომ აზნაურები ერთად იკრიბებოდნენ, ერთად მოქმედობდნენ საქართველოს ბატონის წინაამდეგ; მეფეს კარგად მოეხსენებოდა, რომ აზნაურებს თავიანთი ჯარი—მოყმეები ჰყავდათ და შეერთებულ აზნაურთა ჯარის წინაამდეგ მეფესაც-კი გაუჭირდებოდა. ავი ამიტომაც მოსდიოდათ მარცხი

მის წინაპრებს გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II. ცხადი იყო, რომ თუ მეფეს სურდა თავის მოწინააღმდეგეებისათვის ჯობნა, ამისათვის საჭირო იყო მუდმივი ძლიერი და მრავალ რიცხოვანი ჯარი ჰყოლოდა დამზადებული; საკუთარი ლაშქარი-კი აზნაურთა ჯარის დაუხმარებლივ სამყოფი არ მოეპოვებოდა მეფეს (ქარ. ცხ. 357). თავისი დიდი პოლიტიკური ნიჭი და შორს გამჭვრეტელობა დავით აღმაშენებელმა სწორედ ამ ძნელ და გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოიჩინა. თავისი თავის გასაძლიერებლად მეფემ ყივჩაყთა 50,000 ჯარის-კაცი დაიქირავა, გასწვრთნა და მუდმივ დამზადებული ჰყავდა საბრძოლველად (ქარ. ცხ. 357-8). უეჭველია. ნაქირავები ჯარი დავით აღმაშენებელმა იმიტომ გადმოიყვანა ყივჩაყეთა-გან, რომ მისი თანამეცხედრე ყივჩაყთა ყაომ-რის ქალი ბრძანდებოდა და ნათესაობის გამო მეფეს იმედი ჰქონდა ერთგულობას გამოიწევენ და აზნაურებს მხარს არ დაუჭერენო. ქონებრივად ყივჩაყნი მეფისაგან იყვნენ დამოკიდებულნი და მის წყალობის შემაცქერალნი იყვნენ, ამიტომ ისინი ყოველთვის სულ იმის ცდაში იქნებოდნენ, ეგებ ბატონის ყურადღება დაემსახურეთო. აზნაურთა ჯარს-კი, თუნდაც ერთგულ აზნაურთა ჯარი ყოფილიყო, ხელმწიფე მუდმივ ვერ ენდობოდა. როცა დავითმა ასეთი დახელოვნებული და ერთგული მხედრობა გაიჩინა, მას შეეძლო მოწინააღმდეგე აზნაურთა ძალა დაემარცხე-

ბისა. რაკი დავით აღმაშენებელმა აზნაურთა ორგულობის ნიშნები იცოდა, „ამისთვისცა არა ოდეს მოაცალა ამისად განზრახვად, ანუ განსვენებად, ანუ შედარებად და ქმნად რასამე ესევითარისა“ (ქარ. ცხ. 378); გაიგებდა თუ არა მეფე, რომ მისი მოწინააღმდეგენი შეკრებისა და შეთქმულობის მოწყობას აპირებდნენ, მაშინვე ჯარით თავს დაესხმოდა და საქმეს ჩაუფუშავდა ხოლმე. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფოთა კაცთა, და დიდთა და მცირეთა საქმეთა ქმნილნი, კეთილი გინა ბოროტი სიტყვა თქმული არა რა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის, ანუ თუ ეთქვის ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსაო“ (ქარ. ცხ. 374). რასაკვირველია, ამგვარ გულთმისნობის გამოჩენა მეფეს მხოლოდ ჯაშუშთა დახმარებით შეეძლო; როგორც ეტყობა, დავით აღმაშენებელს ჯაშუშები ჰყოლია და ამ მხრივ იგი სელჯუკთა შაჰების ჩვეულებას აჰყოლია (სიასეთნამეში) ჯაშუშების დახმარებით მეფე სპობდა „ორგულობასა და ზაკვასა და ღალატსაო“ (ქარ. ცხ. 374), ამბობს მემატიანე: შეატყობინებდნენ თუ არა ისინი, დავითი უეცრად თავს დაესხმოდა ხოლმე შეთქმულთ და დაასპატიმრებდა. ისტორიკოსი მოგვითხრობს: ორგულობისა და ღალატის განზრახვისათვის, მრავალნი განპატიჟებულნი-

ცა იყვნენ“-ო (ქარ. ცხ. 375). ოღონდაც მთელი თავისი ძალღონე დავით აღმაშენებელმა ურჩ აზნაურებთან ბრძოლას შეალია. მეფეს სახელმწიფოს წინაშე იმის ღვაწლი მიუძღვის, რომ აზნაურთა შეერთებულ წინააღმდეგობის დასამხობად მან გარკვეულ, ტაქტიკურ ბრძოლას მიჰმართა და თავის წინაპრებისავით გზა დაბნეული არ მოქმედობდა. გარკვეულმა მიზანმა მტკიცე მოქმედება შეჰქმნა: მეფე ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ დიდებულ და თავგასულ მოხელეებისათვის თანამდებობა ჩამოერთმია და მათ ადგილას დაბალ წოდების წევრი, ანუ, როგორც აზნაურები ეძახოდნენ, „ვინმე უგვარონი“ დაენიშნა; თანდათან უმაღლესი მოხელეობა მეფის ერთგულ, „უგვარო“-ების ხელში გადადიოდა (ქარ. ცხ. 378). მართალია, მემატიანეს სიტყვებიდანა ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის მოწინააღმდეგე აზნაური მოხელეები მარტო ძალით არ ებრძოდნენ მეფეს და მას ქვეყნის კეთილდღეობის დამხობასაც აბრალებდნენ ხოლმე: საქართველო მეტისმეტი მოლაშქრობითა და ომიანობით წელმოწყვეტილია. ყოველთვის ვერ აიტანს ამოდენა ჯარისა და სისხლის ღვრასა. ერთიც ვნახოთ უბედურება დატრიალდეს და სახელმწიფო დაუძლურდესო, გაიძახდნენ ისინი. ისტორიკოსის სიტყვიდანა ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდე-

გარე-კი იყვნენ „მაბრალებელნი მეფისანი, ჯერეთცა ესეოდენ მჭირხედ დამოლაშქრე-ბისათვის და მხედრობათა მისთა განუსვენებელისა მიმოსვლისათვის და ვითარმედ „არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობისა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხიპულობასა, რამეთუ ჟამსა ხმარებისა მათისასა თვითოეული მათი უხმარ იპოვისო“ (ქარ. ცხ. 376—7). რასაკვირველია, მეტისმეტ დამოლაშქრების, ანუ მილიტარიზმის მოწინააღმდეგეთა შორის ისეთი პირებიც ერივნენ, რომელნიც გულწრფელად ემდუროდნენ თავით აღმაშენებელს, ქვეყანას დუპაგ შენის დაუსრულებელ ომიანობითა, რომელთაც მარტოოდენ საქართველოს კეთილდღეობის უანგარო სურვილი ალაპარაკებდათ ასე. მაგრამ მემატიანეს სიტყვებიდან ცხადადა ჩანს. რომ ამ საბუთით მეფის მოწინააღმდეგე აზნაურებსაც უსარგებლნიათ. მეფის გაძლიერება რომ შეეფერხებინათ და თავიანთი წოდებრივი უპირატესობა და უფლება შეენარჩუნებინათ, იმათ კიდევ მოურთავთ დამოლაშქრებისაგან ქვეყნის კეთილდღეობა იღუპებაო. ისტორიკოსმა იცის, რა მეძლისტკივ-ლიდა ჰქონდათ იმ აზნაურებს და სახელოდან მეფის მოლაშქრეობის გასამართლებლად შესაფერს პასუხს აძლევს კიდეც (ibid.). დავით აღმაშენებლის დროს საქართველო გაძლიერებული და უზრუნველყოფილი იყო როგორც მეზობელთა შემო-

სეფისაგან, ისე აზნაურთა განდგომილებათა და ღალატისაგან.

როგორ მიმდინარეობდა საქმე დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ გიორგი III-ის მეფობამდე, არა ვიცით, რა, იმიტომ რომ დიმიტრი და დავით მეფეებს საკუთარი მემატიანენი არ ჰყოლიათ, ან თუ ჰყავდათ, მათ ნაწერებს ჩვენამდის არ მოუღწევია. თამარ მეფის ისტორიკოსი გაკვრით ამბობს მხოლოდ, რომ დიმიტრი პირველის შვილი დავით „ღალატს და განდგომილებისა შინა მამისა თვისისა (ქარ. ცხ. 395, მარიამ დედ. ვარ. 386) ედო დანაშაულობათ. მემატიანეს სიტყვებიდანა ჩანს, რომ ამ ღალატში მხურვალე მონაწილეობა საქართველოს დიდებულ აზნაურებს მიუღიათ; იქნება მთელი ეს საქმე მათი განზრახული და განხორციელებული ყოფილიყოს კიდეც. ისტორიკოსის სიტყვით დავითის გულისათვის დაისაჯნენ „ამისა სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორია ქმნით, რომელნიმე სიკვდილით და რომელნიმე განპატიჟებით“ (ქ.რ. ცხ. 395—6, მარიამ დედ. ვარ. 336). რასაკვირველია, ამ მეფის ძის განდგომის ამბავის შესწავლას ჩვენი თემისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა, რომ საკმაო მასალები მოიპოვებოდეს, იმიტომ რომ შესაძლებელია გამოგვერკვია, თუ როგორ გამოიყენეს მეფის შვილის განდგომა დიდებულმა აზნაურებმა თავიანთ პოლიტიკურ წადილის განსახორციელებლად. ასეთივე ამბო-

ხება გიორგი III-ის დროსაც მოხდა, როცა მეფის ძმის წული დემნა ბიძას ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა. ეს ამბოხება მოაწყვეს დემნას სიმამრმა ორბელმა, მისმა გვარმა „და ყოველთა ტომთა და მომდგომთა მათთა, სამცხელთა, ჰერთა, კახთა და სადა ვინ ნათესავი და ნატამალი მოსმენარ მათდა იყო“ (ქარ. ცხ. 396, მარ. დედ. გარ. 386). გიორგი III ერთ ხანს დიდ განსაცდელში ჩავარდა და დემნასათვის რომ ზოგიერთებს არ ეღალატნათ, იქნება გამარჯვება ძმის-წულს დარჩენოდა. თუმცა ამ აზრის შესახებ ცოტა მეტი ცნობები მოიპოვება, სომეხთა ისტორიკოსი სტეფანოსი ორბელიანის საგვარეულო მასალებს გვაძლევს ამის შესახებ, მაინც ამ ამბოხების განხილვისაც გვერდს ავუხვევთ, რადგან საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება და განდგომის ამბავი ბურუსით არის მოცული. შეიძლება მხოლოდ საზოგადოდ აღვიაროთ, რომ გიორგი III დროს დიდებული აზნაურები ისე დაშინებული არ იყვნენ, როგორც დავით აღმაშენებლის დროს და უფრო თამამად იქცეოდნენ ხოლმე. მემატიანეს სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფე თავისდა უნებურად რამდენჯერმე იძულებული იყო აზნაურთა სურვილს დამორჩილებოდა; მაგალითად, როცა გიორგი მზად იყო ხორასნისა და ერაყის სულტანს, რომელმაც საქართველოს ერთი მხარე აიკლო, დიდი ლაშქრით უკან დადევნა, რომ წარმართა ტანტალი მოეშლევა-

ნებინა, წინამდგომ დამახწყველ იქმნეს დიდებულთაგანნი ვინმე... და არღარა მიუშვეს, მეტყველთა ესრეთ: ვინათგან გაქცეულა სულტანი ყოფილითა სპათა მისითა, ნუღარა აღზავებული მკადრებლობა ღვთისაგან ესრეთ ამაღლებული“, არამედ იყო მიზეზი იგი უმიზეზო, გარნა ვინათგან მეფე ცნობითა ბრძენი და მოშსმენი იყო დამორჩილდა (ქარ. ცხ. 391). თუმცა დიდებულთა სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს ისინი წამდაუწუმ სისხლის ღვრის წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ და მეფისათვის სულტანის დადევნებას იმიტომ დაეშალნათ, მაგრამ იგივე მემატიანე ერთ შემთხვევაში გვიამბობს, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ დიდებულნი პირადად ომიანობის დიდი მოტრფიალენი ბრძანდებოდნენ. მემატიანე მოგვითხრობს სახელდობრ, რომ გიორგი მეფე იძულებული იყო ეკლდა მოსამზღვრე სახელმწიფოებთან ომი აეტეხნა, თუმცა მათ იმ დროს საქართველოსათვის არაფერი დაუშავებიათ,— ჩხუბი აუტეხეს იმიტომ, რომ დიდებულ აზნაურებს ლაშქრობის სადღერდელი აეშალათ. ისტორიკოსი ამბობს: უღონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი, მკადრებელთა მოახსენეს ესრე სახედ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვნიერ ლაშქრობისა და რბევისა“. ხოლო ისმინა მეფემან... და ერთსა დღესა შინა დაასკვნეს პაემანი ლაშქრობისა (ქარ. ცხ. 393). მაშასადამე დიდებულნი ლაშქრობის წინააღმდეგნი არ ყოფილან საზოგადოთ, მაგრამ ჩარხს რო-

გორც უნდათ, ისე ატრიალებდნენ ხოლმე და მეფესაც თავიანთ ნებაზე ათამაშებდნენ; ხოლო ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, მეფობის დაუძლურებას მოასწავებს.

## თავი მეშვიდე

მრავალი საბუთები, მაშასადამე, ცხადად გვიჩვენებენ, რომ გამწვავებული ბრძოლა არსებობდა მთავრობისა და აზნაურთა შორის უფლების გამო და რამდენად შეზღუდული იყო ხოლმე მეფის მოქმედება აზნაურთა ძლიერებისა და წინააღმდეგობისაგან. მაგრამ თუ ამ ბრძოლის ვითარებას ჩავუკვირდით, უეჭველია შევამჩნევთ, რომ გამარჯვება საბოლოოდ ჯერ არც ერთ მხარეს არ დარჩენოდა; მართალია დავით აღმაშენებლის დროს მთავრობამ აზნაურებს აჯობა და ურჩი მოხელეები თავიანთ ქერქში ჩააყენა, მაგრამ დავითის მემკვიდრეები თანდათან უკან იხევდნენ და აზნაურებს ყველაფერს უთმობდნენ ხოლმე. ესეც უნდა სთქვას კაცმა, რომ დიდებული აზნაურები ბრძოლის დროს თავიანთ წინანდელ უფლებათა შენარჩუნებასა ცდილობდნენ და რაიმე ახალი პოლიტიკური პროგრამმა და საკითხი, რამდენადაც ეს საბუთებიდან სჩანს, არ წამოუყენებიათ. ასე გამოურკვეველი იყო ეს ხანგრძლივი ბრძოლა თამარ მეფის დრომდე. თამარის მეფობაში-კი ბრძოლამ

გარკვეული მიმართულება მიიღო და საქართვე-
ლო ხელმწიფის უფლების შეზღუდვამდე მიიყ-
ვანა. ჯერ როცა თამარის ტახტზე აყვანას აპი-
რებდა, მაშინვე უეჭველია გიორგი მეფე იძუ-
ლებული იქნებოდა დიდებული აზნაურები თავის
სურვილზე დაეყოლიებინა: წინად ქალი სამეფო
ტახტზე არას დროს არ მჯდარა და ახალ წესის
შემოღებისათვის, რასაკვირველია, მარტო გიორგი
მეფის სურვილი არა კმაროდა. როცა თამარის
მამა გარდაიცვალა, მაშინ-კი ცხადად გამოაშკა-
რავდა, რა გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო
გვირგვინოსანი ქალწული: თუმცა მამამ თავის
სიცოცხლის დროსვე აიყვანა იგი ტახტზე და
ერთგულება თითონაც შეჰფიცა და ყველა მო-
მეებსაც შეაფიცინა, მაგრამ გიორგის III სიკვ-
დილის შემდეგ თამარმა მაინც უკან დაიხია და
მართვა-გამგეობას თავი მიანება, მანამ არ
„შემოკრბა შვიდთავე სამეფოთა დიდებულნი,
რომელნიცა ღირს იყვნეს განზრახვად და
გამორჩევად“ (ქარ. ცხ. 401) და ბჭობის
შემდეგ თამარის მამიდას რუსუდანს არ მოა-
ხსენეს: „აწ კელჰყოს კელითა მეფობისა და
კურთხევითა გვირგვინოსან ყოფად აღვიდეს
და დაჯდეს საყდართა მამათა თჳსთასა“-ო
(ქარ ცხ. 402). თუმცა მემატიანე ცდილობს
ეს უცნაური შემთხვევა გამოაკეთოს, მაგრამ
მაინც ცხადია, გიორგის სიკვდილის შემდეგ
რაღაც ამბავი მომხდარა, რომ ერთხელ ტახ-

ტზე ასული დედოფალი ხელ-მეორედ აღუყვანიათ და გაუმეფებიათ. სამწუხაროდ, ისტორიკოსი მხოლოდ გაკვრით იხსენიებს ამ შემთხვევას და მკვლევარს არ შეუძლიან ამის გამოისობით ამ მეტად საყურადღებო მოვლენას ჯეროვანად ჩაუკვირდეს. რაკი თამარი მამის დროსვე გამეფებული იყო, საქართველოში გიორგის სიკვდილის შემდეგ არავითარი ცვლილება არ უნდა მომხდარიყო; მემატიანე-კი გვაუწყებს: სამეფოს დიდებული შეიკრიბნენ, „რომელნიცა ღირს იყვნეს განზრახვად და გამორჩევად“-ო და იმათ გადასწყვიტეს თამარმა ხელ-მეორედ დაიდგას გვირგვინი და მამა-პაპეულ ტახტზე აბრძანდესო. ყურადღება მივაქციოთ ამ პატარა, მაგრამ საგულისხმიერო წინადადებას: თურმე საქართველოში ზოგი დიდებულნი ღირსნი ყოფილან, ან უფლება ჰქონიათ „განზრახვად და გამორჩევად“. ამისთანა სიტყვებს მემატიანე პირველად ხმარობს, ჩვენი დანარჩენი მემატიანეები არსად არ იხსენიებენ ასეთ პირებს. ეს დიდებულნი შეიკრიბნენ და თამარის ხელმეორედ ტახტზე აყვანა გადასწყვიტეს. მაგრამ თვით თამარის დაგვირგვინების წესი უფრო საგულისხმიერო სურათს წარმოადგენს; ჩვენ აქ მთელ დაგვირგვინების წესს არ შევეხებით და მხოლოდ ერთ წვრილმან, მაგრამ მაინც საყურადღებო, შემთხვევაზე გაპირობთ სიტყვის ჩამოკლებას. მემატიანე ამბობს: „სრულ ყვეს რა კურთხევა, დალოცეს მაშინ კახაბერი

კვირიკეს ძე ერისთავი რაჭისა და თაკვერისა და სრულ ჰყვეს მოკლულნი სვიანთა და დიდებულთა: ვარდანის ძეთა, სადუნის ძეთა და ამონელის ძეთა მოღებად და დადებად კრულისა“-ო (ქარ. ცხ. 403). ამ აღწერილობაში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ისტორიკოსის სიტყვა“ სრულ ჰყვეს“-ო; ეტყობა ამ დიდებულთა კვარის შვილებს უფლება ჰქონიათ (ან იქმნება მიუთვისებიათ) „დაელოცნათ“ და „სრულ ეყოთ“, ესე იგი ნება დაერთოთ, რომ ერთ-ერთ დიდებულს სამხედრო ძლიერების და ჯარის უფროსობის სიმბოლო სახელმწიფო კრმალი თამარ მეფისათვის გადაეცათ; თითქოს დიდებულნი თამარს სიმბოლურად ლაშქრის წინამძღოლობას უბოძავდნენო. რასაკვირველია, შეიძლება ეს ძველის-ძველად შემოღებული წესი იყოს (მაშინ უფრო მეტი ყურადღების ღირსი იქმნებოდა ეს ჩვეულება), მაგრამ მაინც თამარის დროს დიდებულთა „სრულყოფასა“ და „დალოცვას“ განსაკუთრებული და გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა; ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამარი ერთხელ უკვე დაგვირგვინებული იყო და სწორედ ამავე დიდებულთა გადაწყვეტილების გამო ხელ-მეორედ დაიდგა თავზე გვირგვინი; ყურადღების ღირსია აგრეთვე, რომ დაგვირგვინების წესი ასე დაწვრილებით აუსრულებიათ და ისტორიკოსიც ასე ვრცლად მოგვითხრობს ამ ამბავს. ნუ თუ ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა და რაიმე მიზეზი არ იყო?

შეუძლებელია; თამარ მეფის ხელ-მეორედ დაგვირგვინების დროს დიდებული აზნაურები უკვე გათამამებულნი იყვნენ. ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ დიდებულნი და გვარიანნი აზნაურები მთავრობის პირდაპირ შეებრძოლნენ კიდეც. როცა საეკკლესიო კრება თამარის დამარცხებით გათავდა და კათალიკოსმა მიქელმა მეფის აჯობა, „მაშინ იწყესო“, მოგვითხრობს მემატიანე, დაუდგრომელობასა საქმე დიდებულთა ვიეთმე კელისუფალთა: ყვეს ფიცი ერთ, ვითარმედ „აღარ ვეგებით ძველთა კელისუფალთა და განმგებელთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძვრცილნი და უპატიოდ დასულნი ვართ, და გვარიანნი და თვთმსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსასოდ განსულნი ვართ უკვაროთა და უკამათეგან“ (ქრ. ცხ. 407). *) ამ ძვირფასს ცნობიდან სჩანს, რომ გვარიან და დამსახურებულ აზნაურთა სახლები, რომელთაც რაიმე მოხელეობა ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონიათ, შეერთებულან და ერთი-ერთმანეთისათვის პირი მიუციათ მთავრობას წინააღმდეგობა გაუწ-

*) როგორც ამ აზნაურთა გაფიცვისა ისე იმ პოლიტიკურ მოძრაობის შესახებ, რომელზედაც მე-8 თავში გვექნება ლახარაკი, ბ. მ. ჯანაშვილსაც აქვს დაწერილი თავის თხზულებაში „**Царица Тамара**“, მაგრამ ყველაფერი გადაურევია ავტორს. (იხ. ჩემი ბიბლიოგრაფიული წერილი „**Визант. Врем.**“-ში 1904, № 1 და 2).

წიოთ, რაკი საქართველოს ბატონები სულ იმის ცდაში არიან დიდებული აზნაურები უკან დასწენონ, „უგვარო" კაცები-კი დაწინაურონო. ეს „უგვარობა", ანუ დაბალ წოდების წევრნი მეფეებს ერთგულად ემსახურებოდნენ და მათ ბრძანებას დაუყოვნებლივ ასრულებდნენ ხოლმე. მემატიანეს ზემომოყვანილი სიტყვები გვიჩვენებენ, რომ თუმცა დავით აღმაშენებლის მემკვიდრეები სახელოვან ხელმწიფეს ძლიერებით ვერ შეედრებოდნენ და ზოგჯერ იძულებულნი იყვნენ კიდეც დიდებულებისათვის დაეთმოთ, მაგრამ მაინც მათაც წინანდებურად ყოველი ღონისძიება უხმარიათ, რომ უმაღლესი მოხელეობა გვარიან აზნაურებისათვის არ მიეცათ და დაბალ წოდების წევრებისათვის ეწყალობებინათ. ეტყობა, ჩვენ მეფეებს თავიანთი წადილი აუსრულებიათ კიდეც; ამას დიდებულ აზნაურთა სიტყვები ამტკიცებს: „აღარ ვეგებით ძველთა ხელის უფალთა და განმგებელთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე შეოფნით", გაიძახოდნენ ისინი; ცხადია მაშასადამე, რომ ძველ მოხელეთა შორის დაბალ წოდებიდან ბლომად ყოფილან, დიდებულ აზნაურთა გვარის შვილები კი იმათ ბრძანების აღმასრულებელნი და ხელქვეითნი გამხდარან. თამარის გამეფებამდე გულნატკენ დიდგვარიან მოხელეებს თავიანთი დამცირება უთმენიათ, მაგრამ როცა უგრძვნიათ, — ეხლა-კი მარჯვე დრო დაგვიდგაო, ყველანი ერთად გაფიცულან და მეფისათვის გამოუცხადებიათ; დაითხოვეთ

ეგედა ძველი „უგვირთ“ ხელისუფალნი და მხოლოდ ჩვენ წრიდან დანიშნეთ მათი მოადგილეები, თორემ ჩვენ იმათ ამიერიდან აღარ დავემორჩილებითო. რამდენადაც საბუთებიდან სჩანს ეს, პირველი წოდებრივი საბუთე-იყო საქართველოში პოლიტიკურ უფლებათა, ან უპირატესობის მოსაპოებლად. დიდგვარიანი აზნაურები დარწმუნებული ყოფილან, რომ ერთობლივ გაფიცვით და სამსახურის მინებებით თამარ მეფეს აიძულებდნენ მათი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. გაფიცულებმა პირველად „ერთგული და კარგი მოყმე და კაბუკი“, „გაზრდილი პატრონთაგან“, „ამირ სპასალარი და მანდატურთ უხუცესი“ ყუბასარი ამოიღეს ნიშანში; იგი ფილენჯის სენით იყო ავად (ქარ. ცხ. 407). აზნაურებმა ხელმწიფეს გამოუცხადეს ყუბასარი სამსახურიდან დაითხოვეო. ისტორიკოსი ამბობს: „აწვიეს მეფესა თამარს მოღებად ყოვლისა ნაქონებისა“-ო (ქარ. ცხ. 408). „კარნა უქმ იქმნა განზრახვა მათი, ვინათგან თამარ სახიერი იყო და მოწყალე, მოიხსენა სიყვარული და სამსახური და ზრდილობა მისი, თჳნიერ ჴელისუფლობისა და ლორისაგან კიდე არა რაჲ დააკლო“-ო, დასძენს მემატიანე (ქარ. ცხ. 408). მაგრამ მეტი რაღა უნდა დაეკლო? მოხელეობა და სახელო ადგილი ლორე ხომ ჩამოართვა? მართალია, გაფიცულ აზნაურებმა მოახსენეს ყოველი ნაქონები წაართვიო, მაგრამ

იმათი უმთავრესი გულისწადილი ის იყო, უგვა-
რო ყუბასარი დიდებული მოხელე: ამირსპასა-
ლარი და მანდატურთ უხუცესი, აღარა ყოფი-
ლიყო, თორემ დანარჩენს დიდებული აზნაურები
ადვილად დაუთმობდნენ მთავრობას. ამგვარად
გაფიცულ აზნაურებმა თამარი აიძულეს მათი
მოთხოვნა აესრულებინა. მე ვიმეორებ და
ვამტკიცებ, რომ თამარ მეფე იძულებული
იყო გაფიცულთა გადაწყვეტილება დაეკმა-
ყოფილებინა; ყუბასარი სამსახურიდან იმო-
ტომ-კი არ დაითხოვეს, რომ ფილენჯის სე-
ნით იყო ავად, იხ. ბ. დ. კარიჭაშვილის
„საქართველო მეთორმეტე საუკუნეში“. გვ.
103—4), არამედ მხოლოდ იმის გამოისობით.
რომ გაფიცულ აზნაურებმა ასე გადასწყვიტეს;
ხოლო იმათ ისკი არ აწუხებდათ, ყუბასარი
ავადმყოფია და საქმეებს ვერ გააკეთებსო, არამედ
მარტო ის გარემოება რომ ყუბასარი უგვაროთა
ჯგუფს ეკუთვნოდა და რაკი „ერთგული“, „კარგი
მოყმე“ და „პატრონთაგანი იყო გაზრდილი“,
დიდგვარიან აზნაურებზე უმაღლესი მოხელობა
ჰქონდა ნაბოძები, მათ უფროსად ითვლებოდა,
გაფიცულ აზნაურებს რომ ყუბასარის ავადმყო-
ფობა ჰქონდათ სახეში როცა მეფეს თავიანთი
მოთხოვნილება გამოუცხადეს, მაშინ პირდაპირ
ეტყოდნენ ყუბასარი სნეული კაცია და დაითხოვე-
თო და საზოგადოდ ლაპარაკს არ გააბამდნენ უგვარო
დიდებული მოხელეები სამსახურიდან დაითხოვე
და მათ ადგილას დიდგვარიანები დანიშნეო.

რომ ბრძოდა და გაფიცვა წოდებრივ და პო-
ლიტიკურ ნიადაგზე იყო დამყარებული და აზ-
ნაურებს დიახაც უნდოდათ წოდებრივი უპირა-
ტესობა მოეხვეჭნათ, ამას ცხადად მეორე უგვა-
რო მოხელეს დამხობის გარემოება და მიზეზი
ამტკიცებს. მემატიანე მოგვითხრობს: „კვალად
აფრიდონ აზნაურობის ყმობისაგან ღვთის მო-
ბაძავის წყალობით ამაღლებული და გან-
დიდებული, ვიდრე მსახურთ-უხუცესობამ-
დი და თმოგვისა და სხუათა ციხეთა პატ-
რონობითა აღზევებული, მოიმაღლა და დაიმ-
კო ნებითა და განზრახვითა ლაშქართათა“.
(ქრ. ცხ. 408). აფრიდონი ხომ მოხუცებული,
ან ავადმყოფი არა ყოფილა, მაგრამ ისიც „და-
მხო ნებითა და განზრახვითა ლაშქართა“, ე.
ი. იმავე დიდგვარიან მოხელეების სურვილი-
სამებრ. ამ შემთხვევაშიაც გაფიცულმა აზნაუ-
რებმა აჯობეს მეფეს. მერე ნიშანში აფრიდონი
რაღად ამოიღეს? ისტორიკოსის სიტყვებიდან
სჩანს, რომ მარტო იმის გამო რომ იგი ერთ
დროს „აზნაურის ყმა იყო, ერთი სიტყვით,
ისეთ კაცად ითვლებოდა, რომელიც წოდე-
ბრივად გაფიცულ აზნაურებს ექვემდებარე-
ბოდნენ, მეფეს კი აფრიდონი აუმაღლებია,
მსახურთ-უხუცესობის მოხელეობა უბოძებია
და სხვა დიდგვარიან მოხელეებისათვის თავ-
ზე დაუსვამს.

ერთი სიტყვით, დიდგვარიანი აზნაურები გაი-
ფიცნენ და მეფეს გამოუცხადეს, არც წინანდელ

წესს, არც წინახდელ უგვარო დიდებულ მოხე-
ლეებს ჩვენ აღარ დავუმორჩილებით დაითხო-
ვეთ ისინი უკლებნით. თამარ მეფე იძულებული
იყო გაეცა დიდგვარიან მოხელეთათვის მოთხო-
ვნილება აღესრულებინა. ასე გაიმარჯვა დიდგვა-
რიანმა აზნაურობამ. საქართველოს ბატონს
უფლება შეუზღუდეს; მას თავის სურვილისა-
მებრ მოხელეთა ამორჩევა და დანიშვნა არ შეეძ-
ლო. ამიერიდან უმაღლესი მოხელეობა უწყვეტ-
ლად დიდებულ აზნაურთა გვარის შვილებს
უნდა რგებოდა. ამგვარად საქართველოს
მეფეების ასი წლის მედგარმა, მძიმე შრომამ
და მეცადინეობამ, რომ თვითმპყრობელობა რო-
გორმე გაემაგრებინათ, ფუჭად და ამაოდ ჩაუარათ.
რასაკვირველია აზნაურთა გაფიცვამა და
გამარჯვებამ მხოლოდ უმაღლეს წოდების
უპირატესობის დამკვიდრებას შეუწყო ხელი
და წოდებათა თანასწორობასა და პირად
ღირსების მნიშვნელობას ნიადაგი გამოა-
ცალა. ამის გამო თუმცა გაფიცულ აზნაუ-
რთა გამარჯვების შემდეგ საქართველოს მე-
ფის უფლება შეზღუდული იყო, მაგრამ
პოლიტიკურად მხოლოდ მაღალ წოდებას
მიანიჭა ამან უპირატესობა, დაბალი წოდება
კი პირიქით დაიჩაგრა კიდეც. ერთი სიტყვით
ეს აზნაურ-მოხელეთა გაფიცვა უფრო წო-
დებრივ რეაქციის ნაყოფი იყო, ვიდრე სა-
ხელმწიფო წესწყობილების წარმატება.

## თავი მეორე.

საბოლოოდ, საქმე აზნაურთა გაფიცვის შემდეგ არ შეჩერებულა. ცოტა ხანმა გაიარა და გახდა მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ-არსლან, მემატიანეს სიტყვით „მომღერ იქმნა წესსა რასამე სპარსთა გონება მაღლობისასა და სილადით ქცევისასა, ითხოა დადგმად კარგი ველსა ისანისასა, სანახებსა საგოდებელისას „მუნ შიგან თავისუფლად მსხდომარენი, რათა მივსცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხევდეთ, რომელთამე ვსწყალობდეთ; ამას ესრეთ ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მუნღა სრულ იქმნებოდის განგებული ჩვენი“-ო (ქარ. ცხ. 408). როცა თამარ მეფემ ყუთლუ-არსლანის და იმის მომხრეების განზრახვა შეიტყო, ისტორიკოსის სიტყვით „ვითარცა შეენოდა მისსა კელმწიფობასა და სიბრძნესა და მეცნიერებასა ეგრე ეწყინა და გაიკვირვა“-ო (ibid. 468); მოიწვია საჩქაროდ თავისი „ერთგულნი და საკუთარნი“ და მთავრობის მდგომარეობის შესახებ თათბირს შეუდგა. ბჭობის შემდეგ თამარ მეფემ „იძია ღონე შემსგავსებული სიბრძნისა მისისა, რათამცა კელთ იგდო მომქმედნი ამის საქმისანი... და შეიპყრა ყუთლუ-არსლან

მეჭურჭლეთ უხუცესი“ (ibid. 408). როდესაც მოთავენი დაიჭირეს და იცნეს ესე ლაშქართა მის იანაშემწეთა და თანაშეფიცულთა ვისი-სა უკეთურებისათა, შეიპყრნეს და უკუ აგდეს თამარს სიხიერსა და ბრძენსა და ყვეს ახალი სიმტკიცე და ფიცი, რათა ყუთლუ-არსლან გააშვებინონ და არა მოუშვან ვნებად მისსა. და განემზადნეს ისინისაცა შემოდგო-მად და კელ ყვეს საქმესა შეუდარებელსა და ბრძოლად უბრძოლელსა“-ო (ibid. 409), მოგვითხრობს მემატიანე.

ვიდრე ამ შესანიშნავ შემთხვევის მოთხრო-ბის განვაგრძობდეთ, საჭიროა მემატიანეს სი-ტყვებს ჩავუკვირდეთ და განვმარტოთ; თავდა-პირველად, რასაკვირველია უნდა თანაშეფიცულთა დასის მეთაურს მივაქციოთ ყურადღება: იგი მე-ჭურჭლეთ-უხუცესი, ანუ ფინანსთა მინისტრი გახლდათ, უგვარო და დაბალ წოდების ჩა-მომავალი იყო, მაგრამ სიმდიდრეს იგი აუ-მაღლებია; მემატიანე უეჭველია სწორედ ამი-ტომ ამბობს ყუთლუ-არსლანზე: „გვართა უა-ზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“-ო ibid. 408); იქნება იგი დიდ-გვარი იყო, მაინცა და მა-ინც იგი პლუტოკრატიის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. ვინ იყვნენ ამ დასის თანა-შეფიცულნი, რომელთა მეთაურადაც ყუთლუ-არსლანი ითვლებოდა? დიდ-გვარიანი აზნაურები გაფიცვისა და გამარჯვების შემდეგ უეჭველია ამ პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობას არ

მიიღებენ; განა იმათ შეეძლოთ ვიდრე „ძჳარი-თა ჟაზნო“ „სიმდიდრით ამაღლებული“ მოხე-ლე ეწინამძღვრათ? მართალია, მემატიანეს სი-ტყვიდან ჩანს, რომ ამ დროის წევრებად „დი-დებულნი“-ც ბრძანებულან, მაგრამ დიდებულის სახელი მარტო აზნაურს ხომ არ ერქვა, დიდებული —ხელისუფალიც იყო, დიდვაჭარიც. *) დაბალ წოდების კაცის მეთაურობა და თვით თანა შეფიცუ-ლთა მოთხოვნილება და მოქმედება ხომ უფრო მეტს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დიდ-გვარიან აზნაურებს ამ მოძრაობაში მონა-წილეობა არ მიუღიათ, პირიქით, უფრო სა-ფიქრებელია, რომ ეს თანაშეფიცულნი განსა-კუთრებით მაღალ წოდების მოწინააღმდე-გენი უნდა ყოფილიყვნენ.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია რასა-კვირველია ამ თანაშეფიცულთა წადილი და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ცვლილე-ბის გეგმა. ისინი თხოულობდნენ, რომ კარა-ვი უსათუოდ ისნის ველზე დადგმულიყო; ისანი იმიტომ იყო ამორჩეული იმ დაწესე-ბულების ადგილად, სადაც, „თავისუფლად მჯდო-მარენი“ სამეფოს საქმეები უნდა განეგოთ, რომ იქვე ისნის ველზე თამარ მეფის სა-სახლე დარბაზი იდგა. როგორც ეტყობა, მათ სურდათ, რომ ორი საგამგეო დაწესებულე-ბა ერთად, ერთი მეორეს გვერდით ყოფილ-იყო.

---

*) ეს ცხადათა სჩანს ყველა საბუთებიდან; ამაზე ჩვენ ცალკე გამოკვლევაში გვექნება ლაპარაკი.

ერთი სიტყვით სამეფო პალატის გვერდით კარავში „თავისუფლად მსხდომარენი მივცემდით და მოვილებდით, რომელთამე ვრისხევდით, რომელთა მე ვწყალობდით"-ო ამბობდნენ თანაშეფიცულნი. ყურადღება მიგაქციეთ, დასი თავისუფლებას თხოულობდა; რასაკვირველია, მას მეფისაგან დამოუკიდებლობა და თავისუფლება ექნებოდათ სახეში; თანაშეფიცულთ სურდათ, რომ ბჭობის დროს მეფე არ ბრძანებულიყო და საქმეში არ ჩარევოდა.

რა უნდა გაეკეთებინათ მერე იმ კარავში? „მივსცემდით და მოვილებდითო" მოკლედ არის მოჭრილი მათი სიტყვა, ესე იგი მივცემდით ბრძანებასა და მოვილებდით მოხსენებასაო, ხოლო ამისდა მიხედვით „რომელთამე ვრისხავდით, რომელთამე ვწყალობდითო"; საქმის ერთგულს და ბეჯითს წყალობას გაუმრავლებდნენ, ხოლო დაუდევარ და დამნაშავე მოხელეებს დასჯიდნენ; შესაძლებელია ამ შემთხვევაში თანაშეფიცულთ უმაღლესი მართლმსაჯულების ხელში ჩაგდებაც სურდათ დასს უნდოდა ერთი სიტყვით ქვეყნის უმაღლესი გამგეობა და სამართალი მისი „მართებანი და განსაგებელი ყოფილიყო; ყველა ამ საქმეებს მაშინდელ დროში „სახელოთა და საბჭოთა სჯა"-ს ეძახდნენ; ხოლო დავით აღმაშენებლის მემატიანეს სიტყვებიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ „სახელოთა და საბჭოთა სჯა"

მეფის პირად მოვალეობასა და უფლებას შეადგენდა. ამიერითგან საქართველოს ბატონს ეს უფლება უნდა ჩამორთმეოდა და ახალ საგამგეო დაწესებულებას გადასცემოდა. თანამედროვეთა სურვილისამებრ ხელმწიფეს მხოლოდ ამ საგამგეო დაწესებულების გადაწყვეტილების განხორციელების უფლება და უნდა შერჩენოდა მხოლოდ. ეს ცხადად სჩანს მათის სიტყვებიდან: „ამას ესრეთ ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფეს და დედოფალსა და მუნ და სრულ იქმნებოდის განგებული ჩვენიო". მაშასადამე საბჭო, ანუ კარავში მსხდომარენი" საქმეებს განაგებდნენ, მეფე-კი მხოლოდ მათ გადაწყვეტილებას ასრულებდა; ერთი სიტყვით საქართველოს უმაღლესი მართვა-გამგეობა „კარავში სხდომარეთა" ხელში უნდა გადასულიყო, მეფე-კი აღმასრულებელ ორგანოდ გახდებოდა. ამ გვარად თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და საქართველოში პარლამენტის მსგავსი დაწესებულება დაარსებულიყო.

მემატიანე ამბობს, თამარმა რომ ეს ამბავი შეიტყო, „ეწყინა და გაიკვირვაო". ჰა რას არ ეწყინებოდა ასეთი უფლების შეკვეცა და შეზღუდვა. მაგრამ წყენით, რასაკვირველია, ვერაფერს გააწყობდა. ვერც მოთავის დაჭერამ ჩააქრო და გაანელა ეს საგულისხმიერო პოლიტიკური მოძრაობა, პირიქით უფრო რომ გაამ

წვავს კიდეც. მეფის უფლების შეზღუდვის მომხრეთა დასი, როგორც ჩანს, ძლიერი ყოფილა და საუცხოვოდ შეთანხმებული. მემატიანეს ნაამბობი გვიჩვენებს, რომ ახალ წესწყობილების მომხრეებს ერთი ერთმანეთისთვის შეუფიცნიათ ჩვენ წადილის განსახორციელებლად ერთად ვიმოქმედებთ და დავეხმარებითო, ამის გამო ისტორიკოსი მათ „თანაშეფიცულებს“ ეძახის; ეტყობა ერთგულობისა და ერთსულობის ფიცის სიმტკიცის წიგნიც შეუდგენიათ; ეს იქიდანა სჩანს, რომ მემატიანე ამბობს, ყუთლუ-არსლანის დაჭერის შემდეგ მათ [illegible]ეს ახალი სიმტკიცე და ფიცით“, ეტყობა წინადაც ჰქონიათ სიმტკიცის წიგნი, რაკი ახალსა ადგენდენ. თუ რამდენად თავგამოდებულები იყვნენ თანაშეფიცულნი ერთიერთმანეთის გულისათვის მაშინ გამოაშკარავდა, როცა მთავრობამ მოთავე დააჭერინა; ისინი ფიცხლავ შეიყარნენ ერთად, თამარს გადუდგნენ და ფიცი დასდეს, რომ „ყუთლუ-არსლან ვააშვებინონ და არა მიუშვან ვნებად მისა“. თავიანთ წადილის ასრულების გულისათვის ისინი უკიდურესს საშუალებასაც-კი არ შეუშინდნენ. სამეფო პალატს გარშემოერტყნენ და „ხელმწიფის საქმესა შეუკადრებელსა და ბრძოლად უბრძოლველსაო“, ამბობს მემატიანე. როგორც ეტყობა სამეფო სასახლის აღებას და თამარის დატყვევებას აპირებდნენ. უეჭველია, თანაშეფიცულნი ბევრნი უნდა ყოფილი-

ყვნენ, რაკი ასე გაბედულად და რიხიანად იქცეოდნენ, ხოლო თვითმპყრობელობისა და მთავრობის მომხრენი იმდენად უძლურნი აღმოჩნდნენ, რომ თამარ მეფემ ძალას ძალა ვერ დაუპირდაპირა და განსაცდელის თავიდან ასაცილებლად იძულებული იყო მოწინააღმდეგეებისათვის შუამავლად და შემრიგებლად მანდილოსნები გაეგზავნა. აშკარაა მთავრობას რომ ბევრი მომხრეები ჰყოლოდა, მაშინ ისინი ალყაშემორტყმულ სასახლეს მიეშველებოდნენ და ხელმწიფეს სამარცხვინო ტყვეობიდან დაიხსნიდნენ, მაგრამ ეტყობა თამარმა დაინახა, რომ ძალით ვერას გახდებოდა და ისევ მოლაპარაკება ირჩია. „მშვიდობის მეძიებელმან მან წარავლინნა ორნი პატიოსანნი დიოფალნი, უბრძანა ფიცით მონდობა და სხვისი არავისი ზრალობა“ (ქარ. ცხ. 409) გაგზავნილმა მოციქულებმა დედოფლის მინდობილობა საუცხოოდ აასრულეს: თანაშეფიცულნი „მოვიდნენ წინაშე თამარისა და დავრდომით თაყვანი სცეს და აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს პირი ერთგულობისა და ნებისყოფისა მისისაო“-ო (ibid. 409), მოგვითხრობს მემატიანე.

განხეთქილება ერთი სიტყვით მშვიდობიბიანად დაბოლოვებულა, იმიტომ რომ თამარ მეფემ ისევ მორიგება ირჩია. სამწუხაროდ, ისტორიკოსი არ ამბობს რის ფიცი აიღო უთქვამ-ურჩინის დასმა მეფისაგან; ყურადღე-

ბის დორსია მხოლოდ, რომ თვითმპყრობე-
ლობის მოწინააღმდეგეებმა ჯერ მიფეს ჩა-
მოართვეს ფიცი, მერე თითონაც „შისცეს
პირი ერთგულობისა“. ასე გათავდა ეს ჩვე-
ნის წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების სა-
გულისხმიერო და დიდი შემთხვევა.

რა შედეგი ჰქონდა ამ შესანიშნავ პოლიტიკურ
მოძრაობას, ნაყოფიერი იყო იგი, გაიმარჯვა
თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეთა დასმა და
საქართველოს მეფე იძულებული იყო საგამგეო
და საბჭო საქმეები ახალ დაწესებულებისათვის
დაეთმო თუ მეფემ აჯობა თავის მოსინააღმდე-
გეებს და ხელმწიფო წესწყობილება ხელ-
უხლებელი დარჩა? სამწუხაროდ, ჯერ ჯერობით
ქართული ოფიციული საბუთები ძალიან ცოტაა
გამოქვეყნებული და ამის გამო მკვლევარს არ
შეუძლიან სთქვას, დასდეს თუ არა თანამეფი-
ცულებმა და თამარ მეფემ შეთანხმების ხელ-
შეკრულობა. ეხლა-კი რადგან საბუთები ჯერო-
ვნად შესწავლილი არ არის, ჩვენ ამ საკითხის
გადასაწყვეტად სხვა რამე საბუთებსა და მო-
საზრებას უნდა მივმართოთ. ყურადღების ღი-
რსია მაგალითად რომ მემატიანე სწორედ ამ
პოლიტიკურ მოძრაობის თავგადასავლის მო-
თხრობის შემდეგ, როცა სიტყვას ახალ მოხე-
ლეთა დანიშვნაზე ჩამოაგდებს ხოლმე, ერთ
ფრიად საგულისხმიერო წინადადებასა ხმარობს
ხოლმე; მაგალითად. ‘ხალ ამირსპასალარის და-
ნიშვნის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „ა-

ნადგომითა, და ერთნებობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა გააჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი“ (ქარ. ცხ, 410). ვინ დანიშნა ახალი სარდალი? თამარმა, მაგრამ საქართველოს დიდებულთა „ერთნებაობითა და თანადგომითა“, მაშასადამე ნება და სურვილი, ანუ განზრახვა, მოხელეს მოადგილეს დასახელებისა უფლება დიდებულთა ხელშია ეხ- და, მეფე-კი მხოლოდ ამ ერთნებაობას ასრულებს; ერთი სიტყვით ამირსპასალარის დანიშვნა დიდებულთა განგებული საქმე იყო, ხოლო თამარ მეფეს სრულ ჰყოფდა დიდებულთა განგებული. აქედანა სჩანს, რომ თვით მპყრობელობის შეზღუდვის მომხრეთა დასის გაფიცვას სრულებით ამაოდ და უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ნაირი წინადადება არც ერთ ქართველ ისტორიკოსს ამაზე წინად არას დროს არ უხმარია.

დიდებულთა თანადგომითა და განზრახვითა დანიშნეს აგრეთვე კაი ხნის შემდეგ ახალი მწიგნობარი უხუცესი და ვაზირი ანტონი საღირისძე; ისტორიკოსი ამბობს: „ყოველთა ადგილთა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა განზრახვითა ესე დასვეს ვაზირად, მოსცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისისხევი და მწიგნობართ უხუცესობა“-ო (ქარ. ცხ. 426). დიდებულნიცა სწყვეტდნენ ხოლმე ომისა და მშვიდობიანობის საქმეს; მემატიანე მოგვი-

თხრობს, მაგალითად, რომ ჯაღთარ ესმა და-
შქრიდ წვეჯა მხარ-გრძელთაგან ჰსთნდა ყო-
ველოია თქმული მათი და დასკვნეს ლა-
შქრობა“-ო (ქარ. ცხ. 478). ერთი სიტყვით
ისტორიული მასალები ამტკიცებენ, რომ
თანაშეფიცულთა პოლიტიკურ მოძრაობას
სრულებით უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

დიახაც დიდი ყურადღების ღირსია ეს წყე-
ნი წარსულ სახელმწიფო ცხოვრების მოვლენა;
საყურადღებო და საგულისხმიერო იმიტომაა,
რომ ყუთლუ-არსლანის დასი საქართველოს
ბატონის თვითმპყრობელობითი უფლების
შეზღუდვას იყო მოწადინებული და დიდ-
გვარიან აზნაურთა დასისავით წოდებრივ
განსაკუთრებულ უპირატესობისა და უმაღ-
ლესს მოხელეობის მოხვეჭით არ იყო გა-
ტაცებული; მას ჰსურდა ხელმწიფის უფლე-
ბა შეეზღუდა და საქართველოში ახალი
მმართველი დაწესებულება დაფუძნებულიყო,
ერთის სიტყვით, ამ პოლიტიკურ მოძრაობას
წოდებრივი ხასიათი არა ჰქონდა და მარტო
ოდენ სახელმწიფოს წეს-წყობილების ცვლი-
ლების გულისათვის იყო აღეხილი.

ჩვენ არ ვიცით რა წელს მოხდა ეს ისტო-
რიული მოძრაობა მკვლევარს მხოლოდ დაახლო-
ვებით შეუძლიან გამოარკვიოს თარიღი; სახელ-
დობრ იგი 1200 წლამდე (ან 1195 წლამდე
იხ. ჟორდანია, ქრონიკები I, 282) უნდა მომ-
ხდარიყო; ამ დროს არის დაწერილი თამარ მეფის

ისტორიის პირველი ნაწილი, სადაც I-წი რედ-ქს ამბავია მოთხრობილი; მაშასადამე იგი 1189 და 1200 (ნ 1195) წლების შორის უნდა მომხდარიყო. როგორც მოქმედობდნენ ამ პროგრესიულ დასის წარმომადგენელნი შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ჯერ ჯერობით ჩვენ ამას არ შევეხებით ან კი რა უნდა ვთქმე-ღნათ, რომ მონღოლთა შემოსევამ საქართველოს სახოგადოებრივი ცხოვრება და წარმა-ტების დიდის ხნით შეაფერხა და დაასუძლურა, ხოლო ჩვენი ერი უკიდურესის განსაცდელში ჩააგდო...

პეტერბურგი. 30 მაისი 1905 წ.

# შეცდომების გასწორება.

| გვერდი: | სტრიქონი: | უნდა იყოს: |
|---|---|---|
| 8 | 1 | ამ |
| 8 | 17 | მარუშიძეს |
| 10 | 26 | შეითხზა |
| 11 | 8 | გვარს |
| 16 | 5 | მაშინდელ |
| 19 | 23—4 | ქრისტემან |
| 20 | 21 | ანდერძში |
| 21 | 19 | გამგეობა |
| 25 | 11 | მოიპოვება |
| 26 | 18 | გამოურკვეველი |
| 31 | 24 | სოფელნი |
| 32 | 25 | პატრონობა |
| 37 | 4 | ძირი |
| 38 | 5 | მხედაროა |
| 39 | 12 | საკელოთა |
| 40 | 6 | საკელოს |
| 42 | 26 | ეს |
| 44 | 11 | საზოგადოებაში |
| 44 | 15—6 | თვითმპყრობელობა |
| 45 | 16 | უშალავთ |
| 48 | 7 | მწვალებელთა |
| 49 | 27 | ბერებს |
| 50 | 6 | მამფლისაგან |
| 51 | 8 | ვუბოძეთო |
| 51 | 14 | იმ |
| 52 | 7 | ვიდრე |
| 52 | 15 | არ შეუძლიან |

| | | |
|---|---|---|
| 52 | 16 | ვითარება |
| 52 | 17 | შეისწავლოს |
| 54 | 3 | ტბელი |
| 54 | 7 | დაკოცნეს |
| 56 | 16 | ეზრა |
| 57 | 13 | სიმრავლესა |
| 58 | 13 | ლიპაუიტ ძე |
| 58 | 22 | ზემომყვანილ |
| 60 | 5 | მორჩილნი |
| 60 | 11 | უკუე [illegible]ოვის |
| 63 | 17—8 | მთაჴრის |
| 63 | 24 | იყვ[illegible]ნ |
| 64 | 4 | შეკრებად |
| 64 | 11 | მყო[illegible] |
| 64 | 21 | შაჰებისა |
| 66 | 13 | დავით |
| 68 | 27 | დაედევნა |
| 69 | 24 | მოახსენეს |
| 75 | 19 | და |
| 76 | 5 | წოდებრივი გაფიცვა |
| 76 | 23 | თკნიერ |
| 76 | 24 | კელისუფლებისა |
| 77 | 24 | მეფეს |
| 80 | 6 | კარავი |
| 84 | 14 | სიტყვა |
| 87 | 12 | მოწინააღმდეგეებს |

ყველგან საცა მარიამ დედოფლის ვარიანტია მოხსენებული, ჩვენ ვსარგებლობთ ბ. ე. თაყაიშვილის გამოცემით,